საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 8 ნოემბერი, 1919 წ.

ერობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი დიერს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ექვლგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, [illegible] გვერ გვერდზე, ორ მოთხოვნაზე, ბეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. [illegible] და კანტორის ადრესი: რუსთაველის ბულ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 255 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 255

შემოქმედის რაიონული სოციალ-დემოკრატიული კოლექტივი აუწყებს ამხანაგებს, რომ ტრაღიკულად გარდაცვალებულ საზოგადო მოღვაწის ამხ.

სარა მელიქიშვილის

ორმოცი დღის პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, 9 ნოემბერს წითელ მთის სასაფლაოზე. (ფ. 1—1)

ოზურგეთის მაზრის მასწავლებელთა კავშირის გამგეობა აცხადებს ნაცნობთ, ამხანაგებისა და მეგობრების საყურადღებოთ, რომ კვირას, 9 ნოემბ., დილის 11 ს. წითელ მთის სასაფლაოზე (შემოქ. საზ.) ორმოცი დღის თავზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი კავშირის წევრის

სარა-მელიქიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. (2915—1—1)

შემოქმედის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო აცხადებს, რომ 9 ნოემბერს კვირას დილის ათ საათზე სოფელ წითელ მთას დანიშნულია ორმოცი დღის თავზე წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად გარდაცვლილის თანამოსამსახურის, მასწავლებლის

სარა მელიქიშვილის

სულის მოსახსენებლათ. (ფ. 1—1)

სიცოცხლე მოწამლული და გულ დამშვარი მამა კალინიკე, დედა ნადია, მამიდა ამელიკა ყენტები, ბაბუა ალანი, ბებია მაია ჩიგოგიძენი აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს, მეგობრებს და ნაცნობებს

პატარა ტუკას

გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 8 ნოემბერს სოფელ ბასილეთში წმინდა ბასილის ეკლესიის გალავანში. (ფ. 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ერასტი ივანეს ძე ჭავჭანიძე შვილებით მიხეილ და კონსტანტინეთ. დედა ელისაბედ იოსების ასული კოპაძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ნოემბრის 9 წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ძვირფასი და დაუვიწყარი

ნინას

გარდაცვალების წლის თავზე წირვა 10 საათზე და პანაშვიდი 12 საათზე. (2927—2—1)

მშობლები ანტონ და ივდითი სიხარულიძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ 8 ამა ნოემბერს დღითი შაბათს (ახ. სტ.) 1 საათზე გადახდილი იქნება ჭალის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში წლის წირვა და პანაშვიდი უფროვოთ გარდაცვალებულის შვილის

აპაკი სიხარულიძის

სულის მოსახსენებლათ. (2926—1—1)

კვირას, 9 ნოემბერს (ახალი სტილით) დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი

რიფსიმე (გულჩინა) გალუსტას ასული ხუციევი—იტრიევისა

რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს გულდათუთქულნი: დედა კატო, მამა გალუსტა, ძმები: არტაშეს და ხაჩატურ ხუციევები, მეუღლე გრიგოლი მიხაილის ძე შვილებით: თამარა, მაშა, სერიოჟა, ვალოდია და ლეოთი, წირვის დასაწყისი 10 საათზე, პანაშვიდი 1 საათზე ქ. გორში. (2934 1—1)

თაგუნა.

ეშმაკის მათრახი

№ 1 გამოვა ნოემბრის 23-ს.

(5. 2—2) **ეშმაკი.**

ბოლშევიზმის ორი წელი

ორი წელი შესრულდა მას აქეთ, რაც რუსეთში ოქტომბრის, ეგრეთ წოდებული, რევოლუციონერი მოხდა. ბოლშევიკების „დიქტატურა დროებით მთავრობისა და „სოციალშეჩანათების“ წინააღმდეგ თავიანთ ლოზუნგად აყენებდა დამფუძნებელი კრების საჩქაროთ მოწვევას, საერთაშორისო ზავის ჩამოგდებას უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ, სასურსათო საქმის მოგვარებას, ტრანსპორტისა და საერთოთ მრეწველობის აყვავებას; ყველა ამ კითხვათა გადამჭრელ ბრძანებათა და მხსნელ თილისმათ სამუშაოთა უფლება გამოაცხადეს. რუსეთის ბურჟუაზიის რევოლუციონერ ძალთა სრული ბუნებრივი მოწიფების შედეგი. ის იყო პირველი ყველისა საერთაშორისო დამარცხების შედეგი, შიმშილისა და მოქანცულობის ნაყოფი. მისი მშობიარობა დაჩქარებული იყო გარეგანი, მექანიკური ძალებისგან, საერთაშორისო ომის მუჯლუგუნით. აი ამ გარემოებაში უნდა ეძიოთ თებერვლის რევოლუციის სუსტი მხარე: ამ სისხლნაკლულმა რევოლუციამ ვერ შესძლო საქარ-ბოროტო კითხვათა გადაჭრა. თვითმპყრობელობა კი დაამხო საერთაშორისო გრიგალმა, როგორც ბებერი მუხა, მაგრამ მისი ისტორიული მემკვიდრე, დემოკრატია ჯერ კიდევ არ იყო იმდენათ ასაკში მოსული, რომ ადვილათ დაპატრონებოდა მეჯად სამძიმო და აწეწილ-დაწეწილ მემკვიდრეობას. საერთო ეროვნულმა აღტყინებამ მხოლოდ ერთი თვე გასტანა, და ამის შემდეგ იწყება დიფერენციაცია. პირველათ რევოლუციას გაებუტნენ შეძლებული კლასები, რომელთაც რევოლუციამ ისე მიიღეს, როგორც რუსული იმპერიალიზმის გამა ძლიერებელი ფაქტორი. რევოლუციამ, რასაკვირველია, ვერ მოიგო მათი გული, ვინაიდან ის სრულიად არ შეეფერებოდა გაბატონებულ კლასთა სურვილებს, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში. რევოლუციამ მათ არამც თუ სტამბოლსა და სრუტეებს არ პირდებოდა, არამედ მათი სოციალური საფუძვლის მოშლასაც კი ემუქრებოდა. ბურჟუაზია რევოლუციას გადაუდგა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

ბურჟუაზიის რეაქციონურმა ნაბიჯებმა ბუნებრივი გამოძახილი ჰპოვეს საზოგადოების მეორე სოციალურ პოლიუსზე. მშიერმა რევოლუციამ ვერ გადასჭრა დიდი კითხვები. დემოკრატია, რომელიც დარაზმული, გათვითცნობიერებული და სახელმწიფოებრივათ გაწვრთნილ ძალა, არ აღმოჩნდა რუსეთში. „დეოსი“ კი იყო, მაგრამ „კრატიისათვის“ მოუმწიფებელი. იყო ხალხი, მაგრამ უფლებისათვის მოუმზადებელი. ეს იყო არა გამარჯვებული დემოკრატია, არამედ, როგორც კერენსკიმ სქვა: „აჯანყებული მონები“. ასეთი ერი. ხოლო ჩვენში იტყვიან, როგორც ერი, ისეთი მდგელიო. და აბა რა გასაკვირველია, რომ დროებითი მთავრობამ შეუძლებელი ვერ შესძლო და შვიდი თვის განმავლობაში უბალხოთ სახალხო კითხვები ვერ გადასჭრა. „აჯანყებული მონები“ „ბუნტობდენ“ და მოითხოვდენ. ისათ ვერ იგრძნეს და ვერ შეიგნეს ავიანთი თავი, როგორც ქვეყნის პატრონი. ძველი საზოგადოებრივი ძაფები დწყდა და დაიქაქანა, ძველი სახელმწიფებრივი გამირები დაიმსხვრა, ხოლო ახალ ჯერ კიდევ ვერ აშენდა. ის მტკივნეული კითხვები, რომლებმაც თვითმპყრობელობა დაასამარეს, არამც თუ არ გადიჭრა, არამედ კიდევ უფრო გამწვავდა და ამიზეზდა. სოციალური დაშლა-გაჩანაგება კიდევ უფრო გაღრმავდა. ბალშევიკებმა კი სოციალური დაშლა სოციალურ რევოლიუციის დასწყისათ გამოაცხადეს. ხალხი ახალ მთავრობას ისე უყურებდა, როგორც ახალ „ბარინს“, რომელსაც მისთვის სამართალი და სიმართლე უნდა მიეცა. მაგრამ დემოკრატიული მთავრობა უდემოკრატიოთ ჰაერში გამოკიდებული დარჩა. მან ვერ გადასჭრა. და ორც შეეძლო გადაეჭრა ასეთ პირობებში წყეული კითხვები. ხალხმა გული აიცრუა. ის პასიობას მიეცა. „ბუნტსაც“ კი თავი გაანება და განზე გადგა ამგვარათ დადგა ხანა, შეიქნა ისეთი ატმოსფერა, რომელიც დიდ ვასავალს აძლევს თაოსნობასა და გაბედობის მქონე პატარა ჯგუფებს.

ბალშევიკებმა ჩინებულათ ისარგებლეს ამ საერთო მდგომარეობით; ოქტომბრის ერთ ერთ ღამეში მოახდინეს შეთქმულება და გადატრიალება, რომელსაც რევოლიუცია უწოდეს. თვით პეტროგრადის მუშათა კლასმა მხოლოდ მეორე დილას გაიგო, რომ ღამით ვილაცას რევოლიუცია მოუდენიაო. მასებს პირდაპირი მონაწილეობა არ მიუღიათ ამ „რევოლიუციაში“, მხოლოდ მათი პასიობა და პოლიტიკურ საქმიანობამი ვულგრილობა ხელს შემწყობ გარემოებათ გადაიქცა ბალშევიკებისათვის.

ძნელია ბალშევიზმის ბატონობის ორი წლის ისტორიის აღნუსხვა მოკლე წერილში. აღვნიშნავთ მხოლოდ მთავარ ძრმენტებს. რის გაკეთებას აპირებდენ ბალშევიკები და რა გააკეთეს? ოქტომბრის რევოლიუციის საბჭოთათ ბალშევიკები ასახელებდენ იმ გარემოებას, რომ დროებითი მთავრობა დამფუძნებელი კრების მოწვევას აჭიანურებს, შეიძლება სულაც არ მოიწვიოსო. ბალშევიკებმა უფლება ხელთ იგდეს. დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული არჩევნები დასრულეს, დამფუძნებელი კრება მოიწვიეს, და როდესაც ხალხის ნების უზენაესი ორგანო მათ არ დაეთანხმა, ბალშევიკებმა დემოკრატია დრო მოუმულათ გამოცხადეს და დამფუძნებელი კრება მატროსებს გაარეკინეს.

ოქტომბრიდან ბატანჯულ ჯარს ზავს დაპირდენ, ზავს საერთაშორისოს, საპატიოს, უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ. როდესაც სიტყვა საქმეზე მიდგა, იმათ ქედი მოიხარეს ვილჰელმის გენერლების წინაშე, შეკრეს ყოვლად სამარცხვინო ზავი. მოღალატურათ გასცეს ფინლიანდიის, ბალტიის მხარისა და უკრაინის მუშათა კლასი, მუხანათურათ დანა ჩასცეს ზურგში ამიერ-კავკასიას საერთოთ და კერძოთ საქართველოს. რამდენიმე მილიონი მუშაკის ოჯახი, მათი ბედნიერება და სიცოცხლე, დიდი კონტრიბუცია და ვრცელი ანექსია, ყველაფერი ეს დაუთმეს გერმანელ გენერლებსა და ოსმალელ ფაშებს და ამ სამარცხვინო საშუალებით მოსკოვში შეირჩინეს ბატონობა. მაგრამ მშვიდობიანობის მაგიერ მთელი რუსეთი სამოქალაქო ცეცხლის ალში გაბჯინეს და დღეს მათ ორი ფრონტის მაგიერ იმდენი ფრონტი გაიჩინეს, რამდენი მხარეც აქვს ქვეყანას.

სურსათის საკითხის გადაჭრას ერთი ხელის მოქნევით აპირებდენ დღეს ვინ არ იცის, რომ ბალშევიკებმა ხალხს ჰურის მაგიერ ტყვია და ქვა მიაწოდეს. რუსეთში ხალხი შიმშილით იხოცება. კომუნისტთა რუსეთზე უბედური ქვეყანა ამ მხრით არ მოიპოვება მთელს დედამიწაზე. რიაბუშინსკების ოცნება სინამდვილეთ აქციეს—შიმშილის დაკვარ ჩხული ხელი უკვე სწვდა ყელში რუსეთის ხალხს.

მრეწველობასა და ტრანსპორტს ორ თვეში ავალორძინებთ, ოღონდ ძალაუფლება ჩვენს ხელში გადმოვიდესო, ეუბნებოდენ ისინი ხალხს. ნამდვილათ რა მოხდა, ეს ხომ ყველამ უწყის. რუსეთში მრეწველობა სრულიად ჩაკვდა; კომუნისტთა სამფლობელოში ტრანსპორტი აღარ არსებობს. ამ მხრით ქვეყანა თითქმის სავსებით საშუალო საუკუნეს დაუბრუნდა.

რაც შეეხება პოლიტიკურ დაპირებებს, ამაზედ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. პიროვნების ხელშეუხებლობა, სიტყვის, კრების, კავშირებისა და სხვა სამოქალაქო თავისუფლებაზე ლაპარაკი კომუნისტურ რუსეთში ნამდვილი კონტრრევოლიუციონერობაა, რომლის გულითვის ოცდა ოთხ წუთში „კედელთან“ დაგაყენებენ. აღარ არსებობს არავითარი პოლიტიკური უფლებანიც. რა დიდი ჰორია ის ამბავი, თითქოს რუსეთში პროლეტარიატისა და გლეხობის უფლება იყოს. გლეხობას უკვე კარგა ხანია, რაც პოლიტიკური უფლებები სრულიად აყარეს და მათი საბჭოების მაგიერ ლატკათა კომიტეტი დაარსეს. პროლეტარიატი რუსეთში აღარაა, ვინაიდან უმრწეველობით არ არსებობს მუშათა კლასი. ხოლო ის მცირე ჯგუფი პროლეტართა, რომელიც კიდევ დარჩა, სრულიად მოკლებულია პოლიტიკურ უფლებას. რუსეთში საბჭოთა უფლება კი არა, არამედ კომისართა უფლება და კომუნისტთა დიქტატურაა. იშვიათათ მოიპოვება ისტორიაში ისეთი სახელმწიფო, სადაც დესპოტიას ასეთ მწვერვალამდე მიეხწიოს, როგორც რუსეთში. ტროიკა თავის დროზე შიშს გამოსთქვამდა, რომ ბურჟუაზიამ კერენსკი ბონაპარტიზმის მათემატიკურ წერტილათ გადააქციაო. დღეს კი კომუნისტებმა ბონაპარტზე უარესი ავტოკრატია მათემატიკაში კი არა, სინამდვილეში დაა წესეს. რეაქციას გზა გაუკაფეს. ქვეყანა უკვე გაამზადეს სამხედრო დიქტატორისათვის, და ასეთ როლში, რასაკვირველია, დაბოლოს ისტორია გამოიყვანს ნამდვილ გენერალს და არა მის ფალსიფიკაციას—ჟურნალისტ ტროიკის.

კომუნისტთა ორი წლის ბატონობის შემდეგ რუსეთი უფრო შორსაა დემოკრატიისაგან, ვიდრე 1917 წლის ოქტომბერში.

კომუნისტთა ორი წლის მოღვაწეობამ გვასწავლა თუ, როგორ არ უნდა იქნას ნაწარმოები რევოლიუციის საქმე.

ამხანაგო ჯარისკაცნო! ვინც გარბის თქვენგან—ის მოღალატეა თქვენი, მოღალატეა ქვეყნის. ის გტოვებთ თქვენ, გაუძღურებთ და ასე ხელს უწყობს თქვენს დამარცხებას თქვენი დამარცხება კი ქვეყნის დამარცხებაა. მიიღეთ ზომები ამის წინააღმდეგ.

ჯარი და დეზერტირი

ჩვენს პატარა რესპუბლიკას ორი მთავარი ბურჯი ყავს—გვარდია და ჯარი. პირველნი მოხალისენი არიან, რევოლიუციის მიერ წარმოშობილი. მეორენი სავალდებულოთ გამოწვეულნი, მოქალაქობრივ ვალის შესასრულებლად.

გვარდიას რომ ვინმე გაექცეს და ლაჩრობა გამოიჩინოს, თვით ამხანაგები შეარცხვენენ და შეაჩვენებენ და გვარდიიდან წასვლა—თავლაფის დასხმათ ითვლება.

ჯარიდან წასვლა კი ბევრს საქებური საქმე ჭგონია! გავექეცი ყაზარმასო, ამბობს ის, და თან იმათ დასცინის, ვინც ემსახურება თავის ქვეყანას.

რათა ხდება ეს?

წინეთ, ნიკოლოზის დროს ჩვენ ჯარი არ მოგვწონდა, მის დარღვევას ვცდილობდათ. ახლაც ზოგს ჰგონია, რომ იგი უნდა დავარღვიოთ. ამიტომ აქებენ დეზერტირობას.

ჩვენ კი ვამბობთ, რომ გვარდიიდან გაქცევაზე არა ნაკლებ, არამედ უმეტესათ გასაკიცხია ჯარიდან გაქცევა.

გვარდიიდან ვინც მიდის, ის ამბობს, რომ მას ზედმეტი სამსახური აღარ შეუძლია. ჯარიდან ვინც გარბის, ის ამით ამტკიცებს, რომ მას იმ ვალდებულების მოხდა არ სურს, რომელიც ყოველ მოქალაქეს აძევს. გვარდიიდან წასული გაექცა მხოლოდ თანამებრძოლთ, ვერ გაექცა ერს. ჯარიდან გაქცეული კი გაექცა რესპუბლიკას ხალხს, უღალატა თავის მეზობლებს, სოფელს, ქვეყანას, დემოკრატიას.

ჯარში სამსახური ერთი წლით და 4 თვით საყოველთაო ვალდებულებაა, ეს შენც უნდა მოიხადო, მეც, შენმა მეზობელმაც.

ეს იმიტომ, რომ რესპუბლიკას დაცვა უნდა—ხალხის მტრებს ალაგვა. ხვალ რომ შემოესიოს სოფელს დენიკინის შავი ლაშქარი, ან კომუნისტური ბრბოები, ვინ გადაარჩენს ქვეყანას განადგურები საგან?

ზოგს გონია, რომ დღეს ჯარი ისეთივე მტერია ხალხის, როგორც ძველ რუსეთში იყო. ეს დიდი შეცდომაა.

ძველ რუსეთში იგი ემსახურებოდა ხალხის მტრებს. როცა მუშები გაიფიცებოდენ კაპიტალისტის წინააღმდეგ, ჯარს მიუსვამდენ. როცა გლეხები მოითხოვდენ პურს—ჯარს ტყვიებს დააშენინებდენ. და ყაზარმაშიც ჯარს ამას ასწავლიდენ, იმიტომ რომ იყო თვითმპყრობელობა, ესე იგი ბატონობა კაპიტალისტების და მემამულეების, ჩვენ კი დემოკრატიული რესპუბლიკა გვაქვს. მთავრობა და დამფუძნებელი კრება ხალხის არჩეულია, მუშურია, აბა მი ხარით—გასწავლიან თქვენ, სალდათებო, გაფიცულ მუშებს თოფი ესროლეთო? არა. პირიქით. თქვენ გეუბნებიან: თქვენ უნდა დაიცვათ ხალხი, დაიცვათ მშრომელი. დღევანდელ ჯარს, რესპუბლიკანურ ჯარს იმიტომ ვკრეთ, რომ თავისუფლებას ემსახუროს.

ჩვენ ბევრი დავცვალეთ აფიცრები და გენერლები—იმიტომ, რომ იგინი ვერ გამოდგენ თავისუფლების კარგი დამცველნი. თუ შევნიშნეთ, რომ ვინმე თავისუფლებას ღალატობს და ან ხალხს გადუდგა, დაუყონებლივ გადაყენებულ იქნება.

ეს იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა ჯარი ხალხისათვის და არა მის წინააღმდეგ. ხალხის დასაცველათ და არა დასაწიოკებლათ.

ამაშია განსხვავება დღევანდელი ჯარის და ძველი რუსეთის სალდათების.

ჩვენ არ გვჭირდება ჯარი ყაზარმაში ჩავახრჩოთ და ვონება გამოვუბნელოთ. ამიტომ ჩვენ შემოვიღეთ 1 წელიწადი და 4 თვის სამსახური, ე. ი. იმდენი, რომ ჯარისკაცმა იარაღის ხმარება სავსებით შეითვისოს. რუსეთი კი 3—4 წლით ამწყვდევდა ყაზარმაში, რომ სალდათი გადაერჯულებია, დაემონებია.

ჩვენ ჯარისკაცს ვაწვდით ყველ წიგნს, ყოველ გაზეთს, რომ მან იცოდეს რა ხდება ქეყანაზე და შეგნებული მოქალაქე გახდეს. ვხსნით მისთვის უნივერსიტეტებს, ვუკითხავთ ლექციებს, რომ სამხედრო ვარჯიშობიდან თავისუფალი დრო ცოდნის შეძენას, ფონების გახსნას მოახმაროს.

ძველათ ყაზარმებში კი მხოლოდ ლოცვას და მეფის მორჩილებას ასწავლიდენ.

ამ რიგათ ჩვენ გვყავს ჯარი დემოკრატიული, რევოლიუციონური, ძველათ იყო ჯარი—დაბრიყვებული, დაბეჩავებული და როცა ახალგაზრდა მოქალაქე გაურბის ამ სამსახურს, გაურბის თავისუფალ ჯარს, განათლების მოტრფიალე ჯარს, რა არის ის? განა მოღალატე არ უნდა დაერქვას?

შეიძლება ის ამ მოღალატობას უგნურებით ჩადის, მაშინ ავუხსნათ და ჭკუაზე მოვიყვანოთ, თვალები ავუხილოთ. მაგრამ თუ განზრახ—ბოროტი გულით იდენს ამას, იგი სასტიკი სასჯელის ღირსია.

ჯარისკაცებმა ყველაზე უკეთ იციან, რომ ისინი ძველ მონა-სალდათს არ წარმოადგენენ, არამედ თავისუფალ მოქალაქეს, რომელსაც ხალხი სიამით უყურებს, დემოკრატია თავის მფარველათ აღიარებს. წინეთ რომ ძმამავალი სალდათები შეხვდებოდა მოქალაქეს—ტანში გააჟრიალებდა—ჯალათები მოდიანო. ახლა, როცა მუშები, გლეხები და სხვა მოქალაქენი ჩვენ ახალგაზრდა ჯარის სიმღერას გაიგონებენ ქუჩაში—სიხარულის ცრემლებს ღვრიან. შეხეთ ჩვენი ერთგული დარაჯები რა ლამაზათ და მწყობრათ მოდიანო.

დღეს ხალხი თავს ეფლება ჯარს და ამიტომ შეწვენებას უთვლის დეზერტირებს. და ვინც არ შეიგნებს თავის დანაშაულს, ვინც გაჯიუტდება და განაგრძობს ქვეყნის საზარალოთ სიარულს—ის საბოლოოთ უნდა გამოსხლტილი იქნეს მოქალაქეობიდან, ადამიანობიდან, ის მხოლოდ ფურთხის ღირსი იქნება და ზიზღით მოსახსენებელი დემოკრატიისაგან.

ჩვენი ჯარი გვარდიაზე არა ნაკლები ბურჯია რევოლიუციის. თუ ის არ გალონიერდა, რევოლიუციის მტრებთან გამკლავება მარტო მოხალისე გვარდიელებს მეტათ გაუძნელდებათ. ის გაჩნდა მაშინ, როცა ძველი ჯარი გაიხრწნა და ქვეყანა უპატრონოთ დაადგა.

ახლა მას გვერდში უდგას ჩვენი ნორჩი ჯარი. როცა ჯარში დეზერტირობა აღმოიფხვრება, იგინი უფრო ადვილათ შესძლებენ ქვეყნის დაცვას. ამიტომ დეზერტირობას ორივემ უნდა მაგრათ ჩაკრან მახვილი. ეს სენი, ეს მღრღნელი ჭირი ჩვენი ცხოვრებისა უნდა ამოიშალოს ჩვენი ბედის წერის წიგნიდან. ჯანსაღი ჯარი—თვისუფალი ჯარი, უდეზერტირო ქვეყანა—აი ეს გვინდა ჩვენ.

ამხ ჯარისკაცნო! დეზერტირს არ უნდა ემსახუროს ხალხს თქვენთან ერთად. ნუ დაუშვებთ ამას. შეაგნებინეთ მათ თავის მოვალეობა. მიხწერეთ და მოითხოვეთ უკან მათი დაბრუნება.

მასწავლებელთა მდგომარეობა

უკიდურესმა სიძვირემ და ჯამაგირის სიმცირემ აალაპარაკა ჩვენი მასწავლებლები. დღემდის ისინი ეობის მოთმინებით იტანდენ ყოველგვარ გაჭირვებას და მიუხედავათ ზოგიერთების ცდისა, ერთხელაც არ გადაუდგამთ ისეთი ნაბიჯი, რომელიც ზიანს მოუტანდა თავისუფლებას და რესპუბლიკას. არ გადაუდგამთ და ვერც გადადგამდა იმიტომ, რომ ამ თავისუფლეაის და რესპუბლიკის დამყარება—განმტკიცებაში არა ერთი და ორი მსხვერპლი გაუღია თვითონ მა. ის ელოდა ამ დღეს, ის იბრძოდა ამისთვის, ის ისწრაფოდა აქეთ და როგორ შეიძლებოდა ისეთი რამ მოემოქმედა რაც ხელს შეუშლიდა ჩვენი ქვეყნის აღორძინებას.

განსაკუთრებით ეს ითქმის სოფლის მასწავლებელზე; იმ მასწავლებელზე, რომელიც ძველი რეჟიმის დროს ის „დაბალი ღობე“ იყო, რომელზედაც ყველა, ვისაც მოესურვებოდა, ადვილად გადაალაჯებდა. რევოლიუციამ უზრუნველყო მისი პიროვნება პოლიტიკურათ, მარა ვერ შესძლო მისი მატერიალური უზრუნველყოფა. ვერ შესძლო არა იმიტომ, რომ მას ეს არ სურდა, არამედ და ერთავად იმ საერთო ეკონომიური კრიზისის გამო, რომელიც შედეგათ მოჰყვა ომსა და რევოლიუციას. ამას კარგად გრძნობდა ჩვენი მოწინავე მასწავლებლობა და ამიტომ იყო, რომ ის მუდამ წინააღმდეგი იყო ისეთი ზომის, როგორიცაა გაფიცვა. მ. ნ კარგათ იცოდა და იცის, რომ გაფიცვა დღევანდელ პირობებში არამც თუ უაზრობა—ღალატიც იქნებოდა ქეეყნისა და დემოკრატიის წინაშე. იცოდა, რომ მისი გაჭირვება არ არის შედეგი მთავრობის დაუდევრობის და უყურადღებობის; იცოდა და იცის, რომ მასწავლებელი დღეს თავისებურ ფრონტზეა და ამ პოსტის მიტოვება არამც თუ შესცვლიდა და გააუმჯობესებდა მის ნივთიერ მდგომარეობას, — პირიქით, არსებულ პირობებსაც დიდათ გააუარესებდა. დიახ, მან იცოდა ყოველივე ეს და ამიტომ იყო, რომ ერთხელაც არ წამოიგო გაფიცვის ანკეტზე და დღემდე უდრტვინველათ ეზიდება თავის ძძიმე უღელს.

ყოველივე ეს ავალებს მთავრობას და დამფ. კრებას მიუხედავათ საერთო ეკონომიური კრიზისისა მიიღოს შესაძლებელი ზომები მასწავლებელთა მდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲦᲔᲡ

სტრანსბურგში კლემანსომ საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა.

შვეიცარიის გაზეთების ცნობით ვილსონი ფიქრობს ხალხთა ლიგის თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადოს.

ამერიკული გაზეთები იუწყებიან, რომ რუმინია ხელის შემშლელია საზავო კონფერენციის მუშაობისთვისო.

პეტლიურა პოლონეთს უთმობს ლუცკს; კოვნოს და ვოლინის ვლადიმერის ოლქებს, მაგიერად მოითხოვს იარაღის, სამხედრო მახალის მიწოდებას და ეკონომიურ დათმობას. პოლონეთმა მოითხოვა პირველ ყოვლისა უკრაინაში პოლონეთის მხსვილ მიწად-მფლობელობის ინტერესების უზრუნველყოფა.

მოსკოვში ანარქისტები აფეთქებებს ახდენენ. უკანასკნელ ხანში მოსკოვში გაუნადგურებიათ დიდი ძარცვა გლეჯის მომწყობი შტაბი.

ხევსკის დასავლეთით მოხალისეთა ჯარმა აიღო სკოროსტოვკა.

პრიშიბთან მოხალისეთა ჯარმა წითელი ჯარი დაამარცხა.

მდინარე ირტიშზე ტობოლსკის აღმოსავლეთით 110 ვერსზე მოხალისეთა ჯარმა მკაცრი ბრძოლით კარგაისკოე აიღო

მარეობის გასაუმჯობესებლად. და აი კიდევაც გადაიდგა სათანადო ნაბიჯი.

დამფ. კრების განათლების კომისიამ უწყების თანხმობით შეიმუშავა დეკრეტი, რომელიც მოითხოვს მასწავლებელთა ჯამაგირის ერთი ორათ ზაინც გადიდებას. კომისიის ამ წინადადებას ხვალ განიხილავს სამინისტრო კომისია და ჩვენ იმედი გვაქვს ისიც ერთხმად შეუერთდება ამ დადგენილებას და მით საშუალებას მისცემს დამფ. კრებას რამდენიმეთ მაინც შეამსუბუქოს მასწავლებელთა უკიდურესი მდგომარეობა. მასწავლებლებიც გამხნევებული და გამაგრებული ამით, ეპვი არა, კიდევ უფრო გააძლიერებენ მუშაობას და ასე მკვიდრ საფუძველს ჩაუყრიან ახალ სკოლას, ახალ ცხოვრებას **განი**

ამხ. ჯარისკაცნო! აჩვენეთ უცხოს და შინაურს რომ თქვენ ღირსი ხართ თავისუფლების. შეგძლიათ მისი დაცვა, მისი მოვლა, პატრონობა.

საქართველოს გარეშემო

იტალიელები და საქართველო.

ზალოტტიმ ბიალგომ და ანდრეა კაფიმ იტალიაში გამოსცეს წიგნი შემდეგი სათაურით „გეკესალის ზავი“. ავტორნი ამ წიგნისა არჩევენ მოკავშირეების მიერ დადებულ საზავო პირობებს გერმანიასა და ავსტრიასთან. წიგნს დართული აქვს ოცამდე ეთნოგრაფიული და პოლიტიკური რუქები. ამ წიგნში მოთავსებულია შემდეგი წერილი საქართველოს შესახებ:

„საზავო კონფერენცია აგვიანებს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას, ის გაკვირვებას იწვევს ჩვენში. გვეგონა, რომ არ იქნებოდა ამაზე ცხადი და სადა პრობლემა. საქართველო სრულიად განსაზღვრული ეთნიური ერთეულია, ქართველმა ხალხმა გამოაშკარავა უმაღლესი საზოგადოებრივი დისციპლინის ღირსება და არ დაჰკარგა ქრისტიანული კულტურა—მიუხედავად იმისა, რომ მათ თავს ესხმოდენ თურქები, რომელთაც შთანთქეს საქართველოს მრავალი მეზობლები. ქართველები ეს ის ხალხია, რომელმაც თავისუფლებისათვის ბრძოლის დროს არ გამოიჩინა მიდრეკილება სხვისი უფლების შელახვისადმი. ამ ნაციას საერთო სიმპატიით უნდა მოპყრობოდენ და უნდა თანაეგრძნოთ და დაეკმაყოფილებინათ მათი სამართლიანი მოთხოვნილებანი.

მაგრამ საქართველოს საკითხი შეიძლება სრულიად მოულოდნელათ წამოიჭრა დიდ დიპლომატებისათვის გეოგრაფიულ ჰორიზონტზე, რადგანაც შემორანდუმი, რომელიც წარუდგინა ქართველთა ერთმა კომიტეტმა რამდენიმე წლის წინათ ჰაგის კონფერენციას, არც კი იქნებოდა წაკითხული სანოვნიკების მიერ იმის შიშით, რომ არ ეწყინინებინათ ნიკოლოზ II სთვის. ეს გამოსვლა იყო განცალკევებული ჯგუფის ცდა, რადგანაც მას შემდეგ აქ ქართველთა ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო არსებული ფორმა, ქართველები ყოველთვის ხელიხელ ჩაკიდებულნი იბრძოდენ რუსეთის ხალხის ავანგარდთან ერთად უკეთესი მომავლისათვის.

ქართველებს იმედი ჰქონდათ, რომ დემოკრატია, რომელიც ცარიზმს შესცვლიდა, მისცემდა საქართველოს დამოუკიდებლობას და იგი რუსეთის ფედერაციაში შევიდოდა. მაგრამ ყველას მოეხსენება, თუ რა პირობებმა აიძულეს ამიერ-კავკასია ჩამოშორებოდა რუსეთს, და შემდეგ დაარსებულიყო საქართველო, სადაც ერთ წელზე მეტია, რაც ფართო დემოკრატიული მართვა-გამგეობაა. ჩხეიძესა და წერეთელს მოუხდათ ოთხთა უმაღლეს მოსამართლეების წინაშე წარდგომა. საკვირველ შთაბეჭდილებას ახდენენ ეს ორი ნამდვილი „სახალხო ბელადი“, რომელნიც სრულის სიყვარულით და ნდობით სარგებლობენ თავიანთ ხალხში, რაც დაამსახურეს თავიანთი მუშაობით და ხალხის სიყვარულით.

ჩხეიძის და წერეთლის მიერ წარმოდგენილ მემორანდუმის თანახმათ საქართველოს საზღვრები ეთანხმება საქართველოს ეთნოგრაფიულ საზღვრებს. ის იწყება შავი ზღვის ნაპირიდან ტუაპსესა და სოჭის შუა, და გრძელდება ჩრდილო-დასავლეთით—!ამხრეთ აღმოსავლეთისაკენ, კავკასიის ქედამდე, სახელდობრ იალბუზისა და ყაზბეგის მყინვარამდე. საქართველოს საზღვრებში მოექცევა ზაქათალის მაზრა, მერე საზღვარი მოდის მდინარე მტკვრის ზევითა მხრის ველამდე, აქსტაფიდან უხვევს სამხრეთით, ოლთის მაზრამდე, საზღვარი გაივლის შავი ზღვისაკენ რიზეს და ტრაპეზუნდს შუა. მთელი სივრცე მათი ტერიტორიისა 83119 კვ. კილომეტრია, 2,883,275 მცხოვრებლებით. საქართველოს პროექტს დიდათ ეწინააღმდეგებიან სომხები, რომელთა შორისაც არიან ისეთი პირნიც კი, რომელთაც უნდათ შეუერთონ სომხეთს უძველესი სატახტო ქალაქი საქართველოსი—თფილისი. ამას წინად მომხდარ კონფლიქტის დროს, რომელიც ომათ გადაიქცა, ქართველები დაადგნენ დათმობის გზას, იმ დროს, როდესაც ნაციონალური პარტია პატარა დამოუკიდებელ სომხეთისა შეურიგებელ პოზიციას დაადგა. ერთი მიზან შეწონილი და გენილებათაგანი, რომელიც შეუძლიან პარიზის კონფერენციამ მიიღოს, იქნება ამ ქვეყნის თავზე ძალით პროტექტატორის მოხვევა; ანდა უცხოეთის „კანტროლის“ დაწესება ამ პატარა ხალხზე, რომელმაც თავის პოლიტიკური გამჭრიახობით, დემოკრატიული თავისუფლებების მოხმარებით, სოციალური ორგანიზაციებით დაამტკიცა თავისი უპირატესობა ზოგიერთ დიდ და ძლიერ სახელმწიფოების წინაშეც.“

ამხ. ჯარისკაცნო! დეხმარეთ ყველას ვინც აშენებს ჩვენს ქვეყანას. შეებრძოლეთ იმათ ვინც ანგრევს ამ ქვეყანას. ეს ხომ თქვენი ქვეყანაა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

7 ნოემბერი.

მოსალისეთა ცნობები.

სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარ სარდლის შტაბის ცნობა. მოგილიევის ჩრდილოეთით აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი შპიროკ-რაჩნის გოლინჩენკის ფრონტზე გამოვიდა. დამატებითი ცნობებით ვაპნიარკასთან ბრძოლის დროს განსაკუთრებით კარგათ მუშაობდა ჯავშნიანი მატარებელი „კორშუნ“ ი. წამოვიყვანეთ ტყვეები. ხელში ჩავიგდეთ ტყვეისმფრქვევლები და სხვა სამხედრო მასალა. ადესის რაიონი. სიწყნარეა.

ასტრახანის მიმართულება: ვოლგის მარჯვენა ნაპირზე მდგომარეობა არ შეცვლილა. მარცხენაზე 22 ოქტ. კავკასიის გმირული არმია პრიშიბის რაიონში მთელი დღე იბრძოდა. პრიშიბი ხელიდან ხელში გადადიოდა, შემდეგ მტერი დავამარცხეთ და ჩვენმა ნაწილმა ცარევომდე სდია მას. ამ ბრძოლაში დიდი გმირობა სიმშვიდე გამოიჩინა პოლკ. ენგელგარდმა, რომელიც მიუხედავად ჭრილობისა ჯარში დარჩა და ბრძოლას ბოლომდე ხელმძღვანელობდა. კამიშინის მიმართულება: ვოლგის მარცხენა ნაპირზე მტერი პოგროიშინსკოდან განვდევნეთ. მარჯვენაზე დროგამოშვებით სროლაა. ბალაშოვის მიმართულება: მდ. დონზე და მდ. ხოპერის ქვემო ნაწილში სროლაა. ურიუპინის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. ვორონეჟის მიმართულება: ბობროვის ჩრდილოეთით კონდოატენკოს ხელში ჩასაგდებათ ბრძოლაა. ლისკის და დონეცის ჩრდილოეთით ავიღეთ... (გამოტოვებულია). ჩვენი ნაწილები მალაპარხანგელსკის ჩრდილოეთით იბრძვის. მტრის ნაწილები, რომლებიც მალაბოვკაში შემოიკრნენ, ჩვენმა ნაწილებმა დაამარცხეს და ჩრდილოეთით დაუბეგინეს. ბრიანსკის მიმართულება: სევსკის ჩრდილო აღმოსავლეთით პოლკ. ტარკუსას რაზმმა იზბინის რაიონში მტრის ორი პოლკი დაამარცხა, წამოიყვანა 300 ტყვე და ხელში ჩაიგდო ტყვეის მფრქვეველები. სევსკის და ავლეთით ჩვენ სკოროსტოვკა დავიჭიოეთ. გომელის მიმართულება: მტერმა ჩვენ იმ ნაწილებს შემოუტია, რომლებიც ჩერნიგოვის ჩრდილოეთით ფრონტს იჭერდა. ბრძოლა სწარმოებს. ჟიტომირის და ვინნიცას მიმართულება: არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ბალშევიკური ცნობები.

მოსკოვი ნოემბ. 6. სამხედრო ცნობა. ნოემბ. 6. იამბურგისკენ პეტერჰოფის სამხრეთ დასავლეთით 25 ვერსზე რამდენიმე სოფელი აიღო. ბალტიის რკ. გზის რაიონში ჩვენმა ჯარმა გატჩინოს დასავლეთით 28 ვერსზე მდებარე სად. კიკვრიგოს მიაღწია. წამოიყვანა ტყვეები და ხელთ იგდო ტყვეის მფრქვეველები და სხვა დავლა. ვარშავის რკ. გზაზე სად. სოვერსკაია ავიღეთ. მოწინააღმდეგის დევნა გრძელდება. ლუგის რაიონში ჩრდილოეთის და ჩრდილო დასავლეთის მიმართ ჩვენი შეტევა მარჯვედ ვითარდება. მარიენბურგის მიმართულებით სად. ეოგოვოზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მდ. კუგვაზე სად. მარიენჰაუზენთან ჩვენი ჯარი მედგრათ იბრძვის. პოლოცკის რაიონში მოწინააღმდეგემ ჩვენს ჯარს დასავლეთ დვინის მარჯვენა ნაპირზე დაახევინა. სამხ ბრძოლა სწარმოებს მდ დვინის დასავლეთით 15 ვერსზე მდებარე ტბების ხაზზე და დაბა კამენსა დალეპელთან. კიევისკენ ფასტოვის ჩრდილოეთით 20 ვერსზე და მდ. ირპენზე კიევის დასავლეთით მკაცრი ბრძოლებია. ჩერნიგოვის ჩრდილოეთით 50 ვერსზე ჩვენი ჯარი მედგრად იბრძვის. სევსკზე ჩვენი შეტევა მარჯვედ ვითარდება, კორსკისკენ ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მოწინააღმდეგის მესამე დროზ დოვის პოლკი დაამარცხა. წამოიყვანა ტყვეები და ხელთ იგდო 9 ტყვეის მფრქვეველი და სხვა დავლა; ეხლა ეს ჯარი შეტევას განაგრძობს და სად. პონირის დასავლეთით მედგრად იბრძვის. სად. ზმიეევკის სამხრეთით ჩვენი ჯარი მტერს ავიწროვებს. ლივნის რაიონში მტერს რკ. გზის რაიონი დავატოვებინეთ და სამხრეთ აღმოსავლეთით 25 ვერსზე და აღმოსავლეთით 15 ვერსზე მკაცრი ბრძოლაა. ვორონეჟის კურსკის რკ. გზისა და მდ პოტუდალის შუა ჩვენი ჯარი გავიდა მდ. დასავლეთით 20—25 ვერსზე. სად. ლისკი დავტოვეთ. კალაჩის მიმართ. ავიღეთ სად. ტოლოკაია. ნოვოხოპერსკის სამხრეთ დასავლეთით 30 ვერსზე მკაცრი ბრძოლაა. რკ. გზის ნოვოხოპერსკ ბორისოგლებსკ-ურიუპინსკის რაიონში ბრძოლით მდ. ხოპერს მიუახლოვდით; მოწინააღმდეგე მდ. მარჯვენა ნაპირზე გიდავდევნეთ და წამოვიყვანეთ ტყვეები. ფასტ ბუზულუკის რაიონში დურნოვსკაიას და ალექსეევსკაიას ჩრდილო დასავლეთით მტერს მკაცრი ბრძოლა ავუტეხეთ, აქ წამოვიყვანეთ 200 ზე მეტი ტყვე, ხელთ ვიგდეთ 7 ტყვეისმფრქვეველი და სხვა დავლა. ციმბირის რკინის გზაზე პეტროპავლოვსკის რაიონში ჩვენი ჯარი სად. პოლუდენნაიას უახლოვდება. პეტროპავლოვსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით 35 ვერსზე ბრძოლით დუბროვსკაიას ხაზზე გავედით, წამოვიყვანეთ 300 ზე მეტი ტყვე და ხელთ ვიგდეთ 3 ზარბაზანი. იშიმის რაიონიდან ცნობები არ მოსულა. ქ. იშიმის ჩრდილოეთით 60 ვერსზე რამდენიმე სოფელი ავიღეთ. მდ. ირტიშზე ტობოლსკის აღმოსავლეთით 110 ვერსზე ჩვენმა ჯარმა მკაცრი ბრძოლით კარგაისკოე აიღო.

თეთრ ლატიშურ გაზეთების ცნობით, ბერმონტის ჯარში იმყოფება ბერჰოლდის მოხალისეთა კორპუსი, რომელიც ბავარიაში მონაწილეობას იღებდა სპარტაკელთა აჯანყების ჩაქრობაში.

„მორნინგ პოსტ“-ი იუწყება, რომ ჰოლცის და ბერმონტის კანდიდატი რუსეთის ტახტზე არის ყოფილი დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე.

მოსკოვი. ნოემ. 6. მოსკოვის თავდაცვის კომიტეტმა გამოაქვეყნა ლეონტიევის შესახებ მომხდარ თავდასხმის გამოძიების შედეგი. მოსკოვის ჩრეზვიჩაიამ“ გამოარკვია, რომ აფეთქება მოუწყვია ანარქისტების ფარულ ორგანიზაციას ზოგიერთ მემარცხენე ესერების მონაწილეობით. აფეთქების ერთი ხელმძღვანელი თაგანი დევნის დროს მოუკლავთ. დანარჩენნი დაუპატიმრებიათ. უკანასკნელ დროში სხვა დიდი ძარცვა გლეჯის მომწყობთა შტაბი გაანადგურეს

ნაუენი. ნოემ. 5. მიუხედავათ მიღებულ ზომებისა, შიშია, რომ გაფიცვები რკინის გზელებსაც მოედება.

ჰელსინგფორსი. ნოემ. 1. დიდ ბრიტანეთში შეზიდული სამ. რუს. საქონელი გაანთავისუფლეს.

ნაუენი. ნოემბ. 5. კრაკოვის გაზეთი „ჩას“ იუწყება, რომ პეტლიურამ პოლონეთს შესთავაზა ლუცკი, კოვნოს და ვოლინის ვლადიმერის ოლქები, და აგრეთვე აიღოს თავის ხელში უკრაინის რკინის გზის მმართველობა, მიიღოს მონაწილეობა უკრაინის ადმინისტრაციის შედგენაში, ამაში მოითხოვს იარღის, სამხედრო მასალის მიწოდებას და მცირედ ეკონომიურ დათმობას. კრაკოვის გაზეთის ცნობით, პოლონეთის მთავრობა ამას თავდაჭერილად შეხვდა და მოითხოვა პირველ ყოვლისა უკრაინაში პოლონეთის მსხვილ მიწად მფლობელობის ინტერესების უზრუნველყოფა.

სარატოვი. ნოემბ 1. ციმბირის გაზეთების ცნობით, ომსკში კოლჩაკის ბრძანებით ყველა სამრეწველოების მუშებს სამუთები ჩამოერთვათ. მუშების წასვლა აკრძალულია.

ნაუენი, ტრანსპოსტის სიძნელე საფრანგეთში საშინელ ხასიათს იღებს. ლილიდან იუწყებიან, რომ ფაბრიკებში და ქარხნებში თავი მოიყარა აუარებელმა დამზადებულმა საქონელმა, რომლის გამოზიდვა შეუძლებელია. იმავე დროს არ არის დასამუშავებელი საქონელი, რადგან შემოტანა შეუძლებელი ხდება, რაც დიდ გავლენას ახდენს.

ნაუენი. 5 ნოემ. შვეიცარიის გაზეთების ცნობით, ვილსონი ფიქრობს ხალხთა ლიგის თავმჯდომარეობაზე უარ განაცხადოს.

ჰელსინგფორსი. 1 ნოემ. პოლონეთში სახელმწიფო შემოსავლის ნახევარი სამხედრო ხარჯებზე უნდება. ამ ქვეყანა ინგლისი პოლონეთის 16 მილიარდის ქაღალდის ფულს ბეჭდავს.

„ლოკალ ანცეიგერი“ ამტკიცებს, რომ მთელ ლიტვაში საალყო წესები გამოცხადებული, გამოცხადებულია ჭრასაკის ახალგაზრდათა მობილიზ., პოლონეთის მხრიდან თავდასხმ ს შემთხვევისათვის, საზოგადოებრივი აზრი პოლეთის მემამულეების გაძევებას მოითხოვს.

ფრანგული პრესის ცნობები.

„ეხო-დე პარი“ ეურდნობა მოსულ ხმებს და იუწყება, რომ თურქეთს გერმანიის სამხედრო მასალის ქარხნებმა თავის კაპიტალი ერთნაირად გადიდეს და ცილს სწამებს, რომ მუხედავად საზავო ხელშეკრულებისა გერმანია აუარებელ სამხედრო მასალას აზადებს.

„ფორვერტს“ ი რუსეთის ბალშევიკებისგან ვენაში გამოგზავნილ დ-რ ბეტტლჰეიმის ნალაპარაკევ ეურდნობა და დ-რის სიტყვით ამტკიცებს, რომ ყველგან, სადაც კომუნისტები ძალაუფლებას ხელში იგდებენ, დემორალიზაცია ხდება. ბეტჰეიმ ლაპარაკობს, რომ ვენის კომუნისტთა ყველგვარი ცდა ავაზაკები არიან. კომუნისტები საშინელი იტყვებით აღელვებენ ხალხს და იმალებიან, როგორც კი საფრთხე მოელით. ციდერებმა მიზნათ დაისახეს თავისი პარტიის წევრების გამდიდრება.

ამერიკული გაზეთები იუწყებიან რომ რუმინია ხელის შემშლელია საზავო კონფერენციის მუშაობისთვის, რომელსაც არ შეუძლია განთავისუფლდეს უნგრეთის ხელშეკრულობიდან, სანამ უნგრელები პასუხისმგებელ მთავრობას არ ამოირჩევენ, უნგრებს კი ეს არ შეუძლიათ, რადგან რუმინელებს ჯერ მათი ტერიტორია უჭირავთ. ამის გამო უმაღლესის საბჭოს მთავარი ყურადღება მიპყრობილია ბუქარესტზე გუშინდელ მოკლე ნოტაზე რუმინიის მთავრობის პასუხის მოლოდინში.

ფრანგული პრესის ცნობები.

სტრანსბურგში კლემანსოს მოსვლა ნამდვილ ზეიმად გადაიქცა. ელზასელების შეშმარიტი მამულიშვილური გრძნობა ერთხელ კიდევ იგრძნო კლემანსომ, რომელსაც შეხვედნ მილერანი და ყველა საპატიო მოქალაქენი. კლემანსომ ინახულა ძველი ტაძარი და შემდეგ გაემართა სასახლეში, სადაც სიტყვა წარმოსთქვა როგორც მთავრობის თავმჯდომარემ, რომლის ვალი იყო საფრანგეთი გამარჯვებამდე მიეყვანა და ზავი შეეკრა. მან გააცხადა, რომ საფრანგეთს ძალიან მცირეთ უნაზღაურებენ ზარალს, მაგრამ მას სწამს, რომ მოკავშირეები ასანაზღაურებელ ჯამს გადიდებენ. ბინაურ პოლიტიკაში კლემანსო მხარს უჭერს უკვე გატარებულ რეფორმებს სარწმუნოების სიტყვის და სინდისის თავისუფლებაში. ის დარწმუნებულია, რომ სარწმუნოებრივი ზავი არ იქნება დარღვეული. კლემანსო საჭიროდ სცნობს კონსტიტუციის გადასინჯვას. მაგრამ საჭიროდ აღიარებს ზოგიერთ რეფორმას და რაც შეიძლება ფართე დეცენტრალიზაციის მოხდენას. არც ერთი სოციალური რეფორმა არ შეაშინებს მას, თუ კი ეს რეფორმა ძალადობაზე არ იქნება დამყარებული. კლემანსოს მიაჩნია, რომ ეხლა ყველაზე საჭიროა ბალშევიზმთან ბრძოლა. შემდეგ მან ჩამოსთვალა მთელი რიგი საკანონმდებლო პროექტებისა, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს ფინანსები და გააუმჯობესოს ეკონომიური საშუალებანი, ერთვნული და სამიწად მოქმედი და შეებრძოლოს ალკოჰოლიზმს და ჭლექს და გაამრავლოს მშობიარება. დასასრულ კლემანსო მოუწოდებს ყველა ფრანგებს გაერთიანდნენ მომავალ კულტურულ ბრძოლისთვის.

ამხ. ჯარისკაცნო! აჩვენეთ მაგალითი, ასწავლეთ ყველას, როგორ უნდა დაცვა ხალხსა და მის ინტერესებს. თქვენ ხომ ხალხის შვილები ხართ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

საქონლის შესაძენათ. მთავრობამ დააკმაყოფილა მომარაგების კომიტეტის თხოვნა და გადასდო მის განკარგულებაში 5 ილიონი მანეთი იტალიაში საქონლის შესაძენათ.

◆ აქონელი საქართველოსათვის. მომარგების მთავარმა კომიტეტმა მიიღო ცნობა, რომ იტალიიდან ნოვოროსიაშ მოსულა გემი საქონლით დატვირთული, რომელიც ამ დღეებში შემოვა ფოთში.

◆ ბათუმში შეხვლისათვის საქართველოს კონსული ბათუმში გამორეკთ ცნობებს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ ბათუმში წამსვლელებს უცილობლათ უნდა ქონდესთ საზღვარგარეთ წასასვლელი პასპორტი. ვისაც არ აღმოაჩნდება პასპორტი, მას გადასცემენ სამხედრო სასამართლოს, რომელიც ან ატუსაღებს ერთი თვით, ან და ახდევინებს ჯარიმის სახით 4,000 მან. საზღვარ გარეთის პასპორტები უნდა ჰქონდესთ, როგორც საზოგადო დაწესებულების მოსამსახურეთ, ისე კერძო პირთ.

◆ სანიტარული გადასახადი. ქალაქის თვითმართველობას სანიტარული გადასახადისაგან შემოუვიდა 15 მილიონი მანეთი.

◆ ვაჭარ მრეწველთა საბჭომ არჩევნები თფილისში მოხდება 15 ნოემბერს.

◆ კლუბების დაჯარიმება. სანიტარული გადასახადის დროზე გადაუხდელობისათვის ქალ. თვითმართველობამ 85 ათასი მანეთით დააჯარიმა კლუბები მიხაილოვის ქუჩაზე „თეატრალურ-საზოგადოებრივი და ყოფილი ელინთა—დღეს „პერლიის კლუბის“ სახელწოდებით მომქმედი.

◆ ფქვილი. საქ. რკინის გზის სასურსათო კომიტეტმა ბათუმში შეიძინა რკ. გზის მოსამსახურეთათვის 40,000 ფუთი კანადის ფქვილი.

◆ შუამდგომლობა. ქალაქის გამგეობის წინაშე ბელგიის უსახელო საზოგადოების რწმუნებულმა საფრანგეთის მისიის საშვალებით შუამდგომლობა აღძრა შეჩერებულ იქნას სასამართლოში მათსა და ქალაქის თვითმართველობის შორის ამტყდარი დავის გარჩევა ქალაქის ტრამვაის შესახებ. ბელგიის საზოგადოების რწმუნებული ამის მიზეზათ ასახელებს ბელგიაში მიმოსვლისა და მიწერ მოწერის საქმის გართულებას. ქალაქის გამგეობამ არ შეიწყნარა რწმუნებულის თხოვნა, რადგან ამ ახლო ხანში უნდა მოხდეს ტრამვაის შეკეთება, ეს კი შეუძლებელია მანამ, სანამ არ გამოირკვევა ხსენებული დავის ბედი, ამისათვის ბელგიის უსახელო საზოგადოების რწმუნებულს ეძლევა ორი თვის ვადა, რის განმავლობაში უნდა მოახსენოს სადაც ჯერ არს საქმის გარემოება.

◆ ფოსტის გაგზავნა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ, 6 ნოემბერს გაგზავნა ფოსტა უცხოეთში.

◆ ბინა მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესისათვის. ქალაქის თვითმართველობამ მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესს ღარიბთა თავშესაფარში უფასოთ დაუთმო ბინა.

◆ ხაფოსტო ავტომობილის გაძარცვა. 6 ნოემბერს, საქართველოს სამხედრო გზაზე წილკანსა და დუშეთს შორის ბაგლის ჭალაში ავაზაკები დახვდენ ყაზბეგიდან თფილისისაკენ მომავალ ხაფოსტო ავტომობილს. მოჰკლეს ხუთი მგზავრი, მათ შორის აფიცერი მდივანი, ორი ჭისტი, დასჭრეს ფოსტალიონი, წაიღეს 2,000 მანეთის მარკები და გაძარცვეს მგზავრები. ადგილობრივ ადმინისტრაციამ მიიღო ზომები ავაზაკების შესაპყრობათ.

ᲥᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ.

სტუდენტთა კოოპერატივის დამფუძნებელი კრების გაგრძელება დანიშნულია კვირას, 2 ნოემბერს, დილის 9 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში.

— ხვალ, დილის 10 ს., თფ ჰოლიტეხნიკური ინსტიტუტის მე-4 ე აუდიტორიაში დანიშნულია ამავე ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტის სოციალდემოკრატ სტუდენტთა საერთო კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში (ყოფილი რუსული კლუბი) დანიშნულია მუშათა კლუბების საბჭოს წევრთა კრება. სთხოვენ მუშათა კლუბების გამგეობას და ცენტრალურ სახალხო უნივერსიტეტს აუცილებლათ გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი.

— კვირას, საღამოს 5 საათზე, მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე, დანიშნულია ს. ს. დ მ პ. მეორე რაიონის ქალთა ორგანიზაციის ყველა წევრების კრება. სთხოვენ ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ აღნიშნულ კრებას, რადგან გასარჩევი საკითხები მეტად მნიშვნელოვანია.

— დღეს, საღამოს 5 საათზე თფილისის საქონლის სადგურში კონდუქტორების აუდიტორიაში შესდგება თფ. საქონლის ს. ს. დ. მ. პარტიის წევრების საგანგებო კრება. წევრებმა თან უნდა იქონიონ პარტიული წიგნაკები.

— კვირას, დილის 10 საათზე, სახელოსნო სასწავლებელში ეგზარხის მოედანზე № 3-ში დანიშნულია ს. ს. დ. მუშათა პარტიის მეექვსე რაიონის მცირე კოლექტივის შეერთებული არაჩვეულებრივი საერთო კრება. ვინაიდან საყურადღებო კითხვებია გასარჩევი ამხანაგებმა სრულ რიცხვენ [illegible] დესწრონ.

[illegible] ბინერ[illegible] ქალაქის [illegible] საზოგადო კრება (ავლაბარი) შესახებ რაიონაული კოლექტივთან არსებული ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისა.

ხალხის შეგნება და თვით მოქმედება მოსპობს. უაჩალობას და ალმოფხვრის დეზერტირობას.

მთავრობაში

4 ნოემბრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

რუს მოქალაქეთა სამხედრო სამსახურიდან დროებით განთავისუფლება.

რუსი მოქალაქენი დროებით განთავისუფლებულ იქნან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან და დაეკავოს სამხედრო სამინისტროს მოახდინოს შესაფერი განკარგულება რუს მოქალაქეთა (სამხედრო ბეგარა ვალდებულთა) ცალკე სიების შესადგენათ. მათი ჯარში გაწვევა მოხდება ცალკე განკარგულებით, რაც თავის დროზე იქნეს გამოცხადებული.

სამხედრო სამსახურში მოხალისეთა შესვლის უფლება აფხაზეთს.

სამხედრო ბეგარისა და შეიარაღებულ ძალთა შევსების კანონის 1 ლი მუხლი აფხაზეთზე დროებით არ გავრცელდეს და მის ნაცვლად მიეცეს მათ სამხედრო სამსახურში მოხალისეებათ შესვლის უფლება.

მისავალ რკინის გზების საზოგადოება წესდება.

გზათა უწყების მიერ წარმოდგენილ წესდება ქუთაისის მაზრის მისავალ რკინის გზების საზოგადოების წესდება დამტკიცებულ იქნას სახელმწიფო კონტროლიორის შენიშვნებით. (იხ. კონტ. დასკვნა ა. წ. 26 ოქტ. თარიღით № 5865).

დახმარებისთვის.

გადაიდოს გზათა დეპარტამენტის განკარგულებაში ათი ათასი მანეთი ათი მილიონინანი ფონდიდან ქსანსა და კავთისხევს შუა მატარებლის დამსხვევის დროს დაღუპულ მემანქანის კოლოსოვსკის ოჯახობის დასახმარებლად.

ყალბია და დამლუპველი ის აზრი თითქოს პოლიტიკური პარტიის პირველ პირ მოვალეობას არ შეადგენს ავზაკთა და დეზერტირთა წინააღმდეგ ბრძოლა.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

მოკავშირეების პოლიტიკა რუსეთის მართ.

გაზ. „აქციონ ფრანსეზ“-ში შემდეგი წერილია მოთავსებული რუსეთის [illegible] სახეზე: „ჩრდილოეთის ქვეყნებში ზამთარი დგება, ბალშევიზმი კი ჯერ არ დამარცხებულა. განუხორციელებელი რჩება ის იმედები, რომ პეტროგრადი გათავისუფლებულ იქნებოდა სიცივეებამდე. პეტროგრადის განთავისუფლებას ეკრძალება განმანთავისუფლებელი. ვინ იქნება ეს? ინგლისი? მაგრამ ისინი სტოვებენ არხანგელსკს [illegible] ვე, როგორც ჩვენ დავსტოვეთ ოდესა. [illegible] რაც ამტკიცებს იმას, რომ სჯობს [illegible] ყონ ჩარევის პოლიტიკა, ვიდრე [illegible] ლებულ გახდენ დაიხიონ. იმედებს ამ[illegible] ებენ კიდევ იუდენიჩის მცირერიცხოვ[illegible] ჯარზე. მაგრამ ერზერუმის დამპყრობ[illegible] უძლურია, რადგანაც ესტონია, ლატვია [illegible] ლიტვა მას ჩამოშორდა და ემზადებ[illegible] ბიან სეპარატიული ზავი ჩამოაგდ[illegible] ბალშევიკებთან. ბალშევიზმის მოწინ[illegible] აღმდეგე ბანაკში არ არსებობს ერ[illegible] სულოვნება. მათ უფრო მეტი საწინ[illegible] აღმდეგო ინტერესები აქვთ, ვიდრე ერთო. აი რა შველის ლენინს. ჩრ[illegible] ლოეთში ფინებს, ესტონელებს და [illegible] ტიშებს პირველ ყოვლისა ეშინიანთ [illegible] სეთის. წითელი რუსეთი იქნება [illegible] „წმინდა რუსეთი“, ან და ლიბერალ[illegible] ყველა ეს ერთნაირად ითვლება ზე[illegible] სენებულ ქვეყნებისათვის ბოროტ დ[illegible] ნაცვლათ. სამხრეთით მდგომარეობა [illegible] თია: კიევი წაართვა თუ არა ბალშ[illegible] კებს პეტლიურამ, ამ უკრაინის [illegible] მოუკიდებლობის მებრძოლმა, ომი [illegible] ჩაღა დენიკინთან—დიდ მთლიან [illegible] სეთის აღმდგენელთან. ეს კი [illegible] საყრელია ტროცკისათვის. იმ[illegible] ყოველ დღე, რომ ზავი არ დამყარ[illegible] თუ რუსეთი განმარტოვებულ იქ[illegible] რაზე არის ლაპარაკი? რომელ რუ[illegible] ანდა უფრო სწორედ რომ ვსთქვ[illegible] რომელ რუსეთების შესახებ არის [illegible] პარაკი? სურთ დაეყრდონ მთლიან [illegible] ნუყოფელ რუსეთს, თუ სურთ ანგარ[illegible] გაუწიონ წყრილ ერების უფლებებს [illegible] უარყონ მთლიანი რუსეთი. საზავო [illegible] ფერენცია ჯერ ჯერობით არ[illegible] თვალსაზრისს არ დაადგა. ჩვენ კარ[illegible] ვიცით, რომ მხედველობაში აქვთ [illegible] დერატიული რუსეთი. მაშინ მხედ[illegible] ბაში უნდა მიიღონ დაინტერესებ[illegible]

დეზერტირობა და აჯანყება

თავისუფლების დამღუპველია

გრძოლა მათთან სასტიკი და დაუნდობელი. არც ერთი ავაზაკი, არც ერთი დეზერტირი არ უნდა დარჩეს სამართალში მიუცემელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარეების აზრიც. რუსეთის ფედერაციისევე, როგორც ბალკანეთის, დუნაის, ბულგარეთის ბალშევიკებს ძალას, რომელიც შექმნის ამ ფედერაციას. ვინ იქნება ეს? მოსკოვი? ნაგრამ ეს იქნება დამონაყენებული, და ცენტრალიზატორი. ფედერაციის ნაწილები ალბულავ შეიქნებიან „განაპირეებათ". კითხეთ ვლადიკავკაზიას, სცნობს თუ არა ის შესაძლებლად ექვს თვეს მაინც იყოს რუსეთი, როგორც ერთ უფლებიან ბალთა კავშირი. კითხეთ აგრეთვე ლატვიაში, მაგალითად ბერგოს ლატვიათა ნაციონალურ საბჭოს წევრს და ის გეტყვით იმასვე, რა აზრიც გამოსთქვა მან თავის საინტერესო ბროშურაში: „ლატვია და რუსეთ"-ში. სახელდობრ: რუსეთის ფედერაცია იქნება ავტოკრატიული, ისევე როგორც იყო მეფის იმპერია, ანდა სრულიად არ იქნება. მას, როგორც ლატვიას, ნაციონალისტს გაგონებაც კი არ უნდა მთლიან რუსეთის სახელის. როგორც პოლიტიკოსს მას არ სწამს ნებაყოფლობითი ფედერაცია თფილისს, კიევს და რიგის შორის. ისტორია და საღი აზროვნებაც ამას გვიმტკიცებენ: საზავო კონფერენციამ ეხლავე უნდა გადასწყვიტოს რა გზას დადგება. თუ არჩევანი არ შეიძლება მოხდეს, თუ ნაციონალური დაქსაქსვა დასავლეთში გვაძლევს შეძლებას გამოვიმუშაოთ განსაზღვრული პოლიტიკა, მაშინ დადგენ იმ გზას, რაც იწვევს ყველაში აღშფოთებას ესე იგი მისცენ რუსეთს შეძლება მოიხარშოს თავის საკუთარ წვენში. ათი თვის განმავლობაში შეუძლებელი შეიქნა კითხვის სხვა გვარათ გადაწყვეტა".

ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲒᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

3 ნოემბერს მიწ. მოქმ. სამინისტროს სატყეო ინსპექციის და ერობათა კავშირის წარმომადგენლების თათბირი მოხდა შესახებ ტყეების ნიხრის დაწესებისა. გადაწყდა ნიხრის ხელ ახლა გადამუშავება. ერობათა კავშირმა შეიტანა წინადადება რათა სატყეო მეურნეობისაგან დამოკიდებული კითხვების გადაჭრაში უსათუოდ მოწვეულ იქნან ერობათა წარმომადგენელნი როგორც ყველაზე უფრო დაინტერესებულნი სატყეო მეურნეობის რაციონალური დამუშავებაში და მოვლაში.

— პრეზიდიუმში შემოვიდა გორის სამაზრო ერობის შუამდგომლობა შესახებ საობლიგაციო სესხის გამოცემისა. სესხი განზრახული აქვს გამგეობას გამოსცეს საგზაო საამშენებლო მიზნებით. გამგეობა სთხოვს ერობათა კავშირს შეიმუშაოს პროექტი ამ სესხის შემუშავებისა. პრეზიდიუმი ამ დღეებში გაარჩევს ამ საკითხს საერობო ბანკის დაარსების კითხვასთან ერთად.

— 4 ნოემბერს ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტის სახელით პრეზიდიუმმა შეიტანა მოხსენება მთავრობის სახელზე შესახებ სასურ. საბჭოს ერობათა კავშ. ხელში გადავლაზე. ამ მოხსენებას კომიტეტი ასაბუთებს გარდა პრაქტიკული მიზან-შეწონილობის მოტივებით, იმ მოსაზრებითაც, რომ ერობანი პირველ ყოვლისა, როგორც ხალხის ახლო მდგომნი დაწესებულებანი და მისი გაჭივრების ზედმიწევნით მცოდნენი, თავისი მდგომარეობით ზნეობრივათ ვალდებულნი არიან ამ მძიმე საქმეს ხელი მოკიდონ და მთელი პასუხისმგებლობა თავს იდონ და მეორეც, როგორც მთავრობის ორგანოები, ასრულონ სახელმწიფოს დავალებაც, რომელსაც დებულების შესაფერისი მუხლი აკისრებს მათ და მესამე—ეს საბჭო ფაქტიური ცენტრია ერობების სასურსათო განყოფილებების და მისი დაშლა მიუღებელია. მოხსენება გადაეგზავნა აგრეთვე მიწადმოქმედების მინისტრს, დამფუძნებელი კრებ ს თვითმართველობის კომისიას.

— პრეზიდიუმმა უკვე დაამთავრა მ. ცეკავაშვილის მიერ წარმოდგენილი ერობათა კავშირის დებულების პროექტის გადაშინჯვა. პროექტს განიხილავს მთავარი კომიტეტი უახლოეს სხდომაზე.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲛᲣᲨᲐᲝᲡ

სახელმწიფოებრივ გადატრიალების შემდეგ ბევრი გაჭირვება გადაიტანა ჩვენმა დემოკრატიამ. ამ ხნის განმავლობაში არა ერთხელ ყოფილა ჩვენი ბედიღბალი უფსკრულის კიდეზე მიტანილი და თვით ფიზიკური არსებობა ძაფზე ეკიდა, მაგრამ მან, თავის ძალების შემოკრებით და გაასკეცებული ენერგიით სძლია ყოველ გვარ გასაჭირს.

ჩვენი არსებობა მოსვენებას არ აძლევს დემოკრატიის მტრებს, რომლებიც უკანასკნელ ძალებს იკრებენ რათა დაანგრიონ ჩვენი რესპუბლიკა

ამ მიზნის მისაღწევათ ირაზმებიან ყოველგვარი ქვეწარმავალები—ბოროტი სულნი. შავრაზმელები, ერთნაირათ მოქმედებენ გუშინდელი და დღევანდელი ერთი მეორეს დაუძინებელი მტრები—ბალშევიკ—დენიკინელ—ქურდ ბაცაც—აჯანყ—დეზერტირები. გზააბნეულ „კომუნისტებმა" ფართეთ გაუღეს კარი თავიანთ დენიკინელებს, ქურდბაცაც აჯანყებს, დეზერტირებს და მხნეთ შეუდგენ „სოციალიზმის განხორციელებას". სხვა რომ ვერა გააწყესრა, ეხლა გადავიდნენ სახელმწიფოს არსებობისათვის მთავარ ძარღვზე—რკინის გზაზე. ანგრევენ გზებს, ამტვრევენ მატარებლებს, ასალმებენ წუთი სოფელს უდანაშაულო მგზავრებს. არ ვიცი რამდენად მართალია, მაგრამ ამბობენ, თითქოს რკინის გზის მართველობაში დამულიყოს კითხვა ღამის მატარებლების მოსპობისა. ეს იქნება დემოკრატიისაგან პირველ საამედო პოზიციის დაცლა და ბნელი ძალების ერთი გამარჯვება, ეს კი ყოველად დაუშვებელია. ამ შავ ბნელ ძალებთან გამკლავება და მისი ძირბუდიანათ აღმოფხვრა ისევ იმ ნაცადმა დემოკრატიამ უნდა იდვას თავზე, რომელმაც არა ერთხელ იხსნა ჩვენი ქვეყანა. დარწმუნებული ვარ დემოკრატია ამაც გამოვა მხსნელათ, დარაზმება ჩვეულებრივად და ამედინაც გამარჯვებული გამოვა. ყოველ ორგანიზაციულათ მოწობილ ბოროტებას ასეთივე ორგანიზაციული ძალით უნდა ბრძოლა, მაგრამ ბრძოლა დუყოვნებელი და დაუნდობელი. საზოგადოთ დემოკრატია და კერძოთ რკინის გზისამ დღევე უნდა შეუდგეს ამ ბრძოლის თადარიგს. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ერთსულოვანი მედგარი შებრძოლება ამ ბნელეთის მოცოცქულებთან და თუ აგრე მოვიქცევით, მაშინ ჩვენ დემოკრატიის ფიზიზელ თვალს არც ერთი ბოროტება არ გამოეპარება. ამის მაგალითია გურია. მივბაძოთ მას. **რკინისგზელი.**

ყველა და ყველაფერი უნდა ამოძრავდეს ავაზაკთა, დეზერტირთა და აჯანყთა წინააღმდეგ.

ᲐᲯᲐᲮᲚᲗᲐ ᲗᲐᲠᲐᲮᲨᲘ ᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲖᲔ

ამ ბოლო ხანებში აჯახლთა თარეშმა გორის მაზრაში და სხვა მაზრებშიც უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. ისინი უკვე აღარავის ერიდებიან და აშკარათ დათარეშობენ უპატრონოთ მიტოვებულ სოფლებში. სოფ. ფცაში 30 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, სიმღერით ჩამოიარა ე. წ. „არსენა რაზმმა", რომლებიც მიდიოდენ ცხინვალისკენ. ვარდა ამისა ყოველ ღამე მიტინგებს მართავენ. 2 ნოემბ. ღამით კრება ქონდათ სოფ. აბანოში, რომელზედაც დაუდგენიათ, რომ „იმ სოფლებს, რომლებიც უარს იტყიან და არ ჩაეწერებიან ჩვენს, ბალშევიკების პარტ., გადავწვავთ და ხულიგნებს დავხვრეტავთო". როგორც ამბობენ, მათში ურევიან ხულიგანი, ყოფილი თავადებიც. ეს ნაძირალები ვინ იცის რას არ ჰპირდებიან ხალხს: მთავრობის მიერ შეწერილი ხარჯების მოსპობას, ხე ტყის უბაე უხარჯოთ გამოტანას და სხ. (ტყის ყარაულები უკვე გამოურეკიათ). ამათი მეთაურები არიან შემდეგ სოფლებიდან: სოფ. ქემფრიდან არსენა ლომიძე, (რაზმის უფროსი), სოფ ოსიაურიდან: ტატე ბუხრიკიძე, კოფა ბერიძე, სოფ. წ ღელიდან: პეტრე აბულაძე, ილია იარღანაშვილი, ნიკო ლომიძე და სანდრო ლომიძე როგორც ირკვევა ამათ ხელძღვანელები თფილისშიც ჰყოლიათ, და უკვე სამ ადგილს მოუწყვიათ რაზმები: გუჯარეთში შვიდას კაცამდე, ხცისის მიდამოებში სამასი კაცი, ჭერათხევში ოთხას—ხუთას კაცამდე (ტყვიისმფრქვეველი და ზარბაზანიც ჰქონიათ). გეგმა უკვე შეუმუშავებიათ და როდესაც საკმაო ძალას შეაგროვებენ, მაშინვე თფილისს დაესხმიან, და გლეხებს არწმუნებენ, რომ „თქვენ თოფის გასროლაც არ დაგჭირდებათო".

მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა მიაქციოს ყურადღება ამ ნაძირალების და სამშობლოს გამყიდველების განზრახვას და ეხლავე უნდა აღმოფხვრას მათი ბუდე. დაუყოვნებლივ სასტიკი ზომები უნდა იქნას მიღებული მათ წინააღმდეგ. დაუყოვნებლივ უნდა გაწმენდილ იქნეს სოფლები აჯახლ ავაზაკ ნაძირალა-დეზერტირებისაგან. **მუშა.**

ᲛᲠᲣᲓᲔ ᲒᲘᲚᲘᲙᲔᲒᲘ

ცხოვრებაში ბევრი მრუდე ბილიკია,
და თუ ერთხელ ერთ მათგანზე კი შედექი,
ვერ გიშველის ჯანაოზი სულიკია*),
იმისთანა გელის ბოლო და შედეგი.

დღეს ბევრს ნახავთ ჩვენში ამგვარ გზებით მსვლელებს,
აჯახლებს, თუ გამოქცეულ ჯარის კაცებს,
სოფელ სოფელ რომ დაძრწიან, თხრიან ხვრელებს,
და აგებენ წინსვლის გზაზე ეკალ-ქაცვებს.

ერთი აგერ მატარებელს ხვდება ამსხვრევს,
აღარ ინდობს არც ბავშვებს და არცა ქალებს,
მეორე კი მეზობლებში შხამსა ანთხევს,
მით უბრმავებს, თვითონვე ბრმა, სხვებსაც თვალებს.

და ამგვარათ იწამლება ერის ყოფა:
ისიც მრუდობს, ვინაც დღემდე ვლიდა სწორეთ:
რისხვა იმათ! რაც ვითმინეთ აწ გვეყოფა:
მუშუკები სამუდამოთ მოგვაშორეთ!

ვ. რუხაძე.

*) სოფლის ექიმის გვარია.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲐᲜᲢᲘᲣᲠᲐ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲖᲔ

26 სექტემბერს 1919 წელს თელავის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბმა მიიღო ცნობა, რომ 28 სექტ. თელავში ბალშევიკებს დანიშნული აქვთ სამაზ. კონფერენცია. 28 სექტ. შტაბმა გაიგო, რომ ბალშევიკები იკრიბებიან სოფლების სასაფლაოსაკენ ტყეში. შტაბის მიერ გაგზავნილი გვარდიელები, სანამ ბალშევიკების კონფერენციის ადგილამდე მიაღწევდა, მოულოდნელათ აჯახლთა ბანდის წაადგა და საღამომდე სროლა ჰქონდა. ამ დღეს ბალშევიკების კონფერენციის აღმოჩენა შეუძლებელი გახდა. 8 ოქტომბერს ღამით შტაბისა და სამაზრო ერობის განკარგულებით გაჩხრეკილ იქნენ რამოდენიმე პირი. ჩხრეკის დროს ვასო რაზმაძის სახლში აღმოჩენილ იყო ბალშევიკური ლიტერატურა და ხელთნაწერები. ხელთნაწერებ შორის აღმოჩნდა თელავის ბალშევიკების სამაზრო კომიტეტის ოქმი, სადაც კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეული იყო სამსონ ცინცაბაძე, პასუხისმგებელ პროპაგანდისტათ სტუდენტი აუშტროვი, მდივნათ კოლა ბაკურაძე და პასუხისმგებელ ორგანიზატორათ ნიკო მაზანაშვილი. როდესაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირები თელავის სახალხო გვარდიის შტაბმა დაატუსაღა, აუშტროვი და მაზანაშვილი პირველ დაკითხვისთანავე გამოტყდენ. ამ პირების დატუსაღებით თელავის ბალშევიკების ორგანიზაცია ჩაიშალა, მაგრამ თფილისის საოლქო ბალშევიკების კომიტეტმა, როგორც ეტყობა, იმედი არ დაკარგა და 18 ოქტომბერს თელავში გამოგზავნა ორგანიზაციული მუშაობის აღსადგენათ ვინმე გრიგოლ ბებურის ძე სარჯველაძე და დავით სპირიდონის ძე აფციაური. სარჯველაძეს და აფციაურს თელავში დახვდენ ადგილობრივი ბალშევიკური ორგანიზაციის წევრები მე 6 ათასეულის ჯარისკაცი თუმანიშვილი და ამავე ათასეულის ყოფილი ფილოფეიერი ვასო ბუღდიაშვილი, რომლებმაც მოსული პირები გააცვნეს სოფლათ მომუშავე ბალშევიკებს გრიგოლ ჩიტალაძეს და ს. ყვარელის მცხოვრებელს მამულაშვილს, მეტ სახელად „კერენსკის". 19 ოქტომბერს ეს პირები უკვე რაიონებში დაიგზავნენ. ამავე დღეს ღამითი თელავში აფციაურს და სარჯველაძეს ჰქონდათ კრება, რომელსაც 20 კაცი დაესწრო. ამ კრებაზე იქნა შემუშავებული აჯანყების ზოგადი გეგმა. თანახმად დადგენილი წესრიგისა, კრებას უნდა აერჩია პასუხისმგებელი კომისრები ყველა იმ დაწესებულებებისათვის, რომლებსაც ბალშევიკები ხელში ჩაგდებდენ აჯანყების დროს. მოიწყოთ მაზრაშ სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტები, დაატუსაღებინათ თელავის სახალხო გვარდიის შტაბი, მე 6 ათასეულის აფიცრობა, მილიცია და სხვ. ბალშევიკების ანგარიშით აჯანყებას თელავის მაზრაში სათავეში ჩაუდგებოდენ თელავში დაბანაკებული მე-6 ათასეულის ჯარისკაცებიდან 210 კაცი 12 ტყვიისმფრქვეველით, ყვარელის რაიონში 60 კაცი, ხიდაშნის რაიონში 45 კაცი, ვარდის უბნის რაიონში 70 კაცი და ნაფარეულის რაიონში 80 კაცი. ე. ი. თელავის მაზრაში ბალშევიკების აზრით აჯანყების დროშას პირველათ 465 კაცი აფრიალებდა. 20 ოქტომბერს საღამოთი თელავის სახალხო გვარდიის შტაბმა დაატუსაღა სასტუმრო „ესპერანტოში" გრიგოლ სარჯველაძე. 21 ოქტომბერს ჩიტალაძე, ჯარისკაცი თუმანიშვილი და ყოფილი ფილოფეიელი ვასო ბუღდიაშვილი. 22 ოქტომბერს თელავის რკინის გზის სადგურზე გვარდიელებმა დაატუსაღეს ლევით აფციაური სტუდენტის ფორმაში, რომელსაც აღმოაჩნდა აჯანყების ზემოთ მოყვანილი გეგმა. ამავე აფციაურს აღმოაჩნდა სია იმ პირების, რომლებსაც მინდობილი ქონდათ რაიონებში აჯანყების ხელმძღვანელობა. 22 ოქტომბერს ღამით თელავის შტაბის განკარგულებით ყველა ტელეფონების აპარატებთან მაზრაში დაყენებულ იქნენ მცველებათ გვარდიელები და დაეგზავნათ განკარგულება სარაიონო სახალხო გვარდიელების შტაბებს და რწმუნებულებს, რომ დაეტუსაღებიათ შტაბის მიერ ნაჩვენები პირები. თელავის შტაბის განკარგულება მყისვე სისრულეში იქნა მოყვანილი და ასე 23 ოქტომბერს დილით მთელ მაზრაში ბალშევიკური ავანტიურის ხელმძღვანელები უკვე შეპყრობილნი იყვენ. ქ. თელავში 22 ოქტომბრიდან გვარდიელთა გაძლიერებულმა პატრულმა იწყო სიარული და ამ გზით ბალშევიკებს კონტრრევოლიუციონური აჯანყების გეგმები თელავის მაზრაში ჩაეშალათ.

უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ თელავის მაზრაში ბალშევიკების ორგანიზაციის მომქმედი პირების ორი მესამედი აჯახლთა ბრბოების აგენტები არიან და ამასთან ერთად უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ მთელ კახეთში ბალშევიკების საოლქო კომიტეტის განსაკუთრებული ყურადღება თელავზე იყო მიპყრობილი, რასაც სხვათა შორის ფულების ანგარიშებიც აშკარათ ამტკიცებენ. მაგალითად 5 სექტემბრიდან 8 სექტემბრამდე ბალშევიკებს, თანახმად მათი ანგარიშებისა, დაუხარჯავთ 80360 მანეთი და 18 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე 16,000 მანეთი. მაგრამ ჩვენი სახალხო გვარდიელების ფხიზელმა მოქმედებამ ბალშევიკების ავანტიურა საზოშივე ჩაჭკლა და იხსნა თელავის მაზრა დამღუპველ ანარქიისაგან.

დატუსაღებულ ბალშევიკების დაკითხვის დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ. ეს გარემოება არის შემდეგი: ყველა ის პირები, რომლებიც თელავის მაზრაში ბალშევიკურ მუშაობას ხელმძღვანელობდენ და რომელთა შორის ურევიან არა ერთი და ორი ინტელიგენტი (გარეგნული შეხედულებით მაინც) საცოდავ სანანობას წარმოადგენდენ. „შეგვიბრალეთ, ნუ და გვიჭერთ, გვაპატიეთ, სისულელე ჩავიდინეთ" და სხვ.

აი, ამ ვაგაბონების თავისი მიმართულებისადმი ჰატივისცემა და ხასიათის სიმტკიცე. მაგრამ რა უნდა მოვთხოვოთ ბალშევიკებს, როდესაც კომიტეტის თავმჯდომარე ბ ნი სამსონ ცინცაბაძე იმდენათაც კი გაკადნიერდა, რომ „ერთობის" ფურცელზე აღიარა: „მე ტყუილა უმრალოდ დამიჭირეს, ბალშევიკებთან არავითარი კავშირი მქონებია" და თავისი სიტყვების დასამტკიცებლად ისიც კი აღიარა, რომ მე მენშევიკების ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის წევრი ვარო. დიახ, საქმეც სწორედ იმაშია, რომ ბატონი ცინცაბაძე მენშევიკურ ორგანიზაციაშიც დაძვრებოდა და ბალშევიკებთანაც მუშაობდა. ამ მუშაობას ადასტურებენ სხვა დატუსაღებული ბალშევიკებიც. ასეთ საქციელს სულ სხვა სახელი ეწოდება, მაგრამ ბალშევიკებისათვის ხომ სინდისი ბურჟუაზიული ცრუმორწმუნეობაა!? თუ ჩიჩერინი საქართველოს ხელუხლებლობას პირდებოდა ოფიციალურათ, ხოლო ამავე დროს ჩუმათ აგენტებს აგზავნიდა საქართველოში აჯანყების მოსაწყობად, რაღა გასაკვირველია, ისეთმა წვრილფეხა ბალშევიკებმა, როგორიც ცინცაბაძეა, გაზეთ „ერთობის" მკითხველები მოატყუონ!..*)

X.

*) აღნიშნულმა ცინცაბაძემ რედაქცია შეცდომაში შეიყვანა. **რედ.**

ვინც აჯახლსა და დეზერტირს ფარავს, ის ავაზაკის თანაზიარია.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲒᲔᲜ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ

სწორეთ რომ ღირსშესანიშნავია და დასაფასებელი, რომ ნახოთ, როგორ მუშაობენ ქალები გერმანიასა და ავსტრო უნგრეთში. რასაც მე ვხედავდი ჩემი იქ ტყვეობის დროს განცვიფრებაში მომიყვანა. მე ვხედავდი თუ როგორ თავის ჰატარა 9 თუ 10 წლის ბალღით რომელიც წინ მიუძღოდა გუთანში გაბმულ ცხენებს, დედა გუთნით ხელში არღვევდა დედამიწის გულს, და მთელი დღეობით, დაუღალავათ, ხნავდა ქცევობით და დესიატინობით მიწას. აგრეთვე საათიბში თუ საათხნში, ქალთა გუნდი, სიმღერითა და ძახიარულობით მუშაობენ. მე რომელსაც მიხდებოდა იმათ წრეებში მუშაობა, მაკვირვებდა მით უმეტეს ზოგიერთ ესტ შეხედულების ქალების მუშაობა, რომლებიც სხვებთან ერთად ერთის იერიშით, და ძალით და ღონით მიჰყვებოდენ მწკრივში. მე კი ხშირად ჩამომტოვებდენ ხოლმე უკან, და ხუმრობით მომმართავდენ: არა გრცხვენიან, ქალებს უკან ჩამოგვრჩი! მაგრამ მე იმდენათ თავს არ ვირცხვენდი და იმით ვიმართლებდი თავს, რო მე ჩვენში სასოფლო მუშაობას არ ვეწეოდი მეთქი. და ისინიც კმაყოფილებით მომიგებდნენ. ჰო მართალია, მიუჩვეველი კაცი ეგრე ჩქარა ვერ იმუშავებსო. მაგრამ ნამდვილათ კი მე ვიყავი სოფლის მეურნეობაში აღზრდილი, და ძნელათ თუ ჩვენში ვინმეს ჩამოვრჩებოდი მუშაობაში, მაგრამ იქ კი ქალებსაც ვერ ეასწორდებოდი. და სწორედ ამ მაგალითის შემხვედრვ დავრწმუნდი, რომ ქალებს შეძლებია, ყოველ მიზნის გარეშე, შეასრულოს კაცებთან ერთად ყველა სამუშაო.

აღსანიშნავია აგრეთვე გერმანელების (როგორც ქალების ისე ვაჟების) ოჯახთან დამოკიდებულება: როგორ ერთნაირის მოვალეობით ეხმარებიან ცოლი და ქმარი ერთი მეორეს, ყოველივე საქმის განაწილებლათ. მაგალ. დილით ადრე ქალი მიხედავს შინაურ ფრინველს, კაცი კიდევ შინაურ ოთხფეხს, წყალია საჭირო და ქალს არ სცალია, კაცი გარბის წყალზე და მოაქვს, და ამ ნაირათ კაცს თუ არ სცალიან, ქალი გარბის, აბავს ცხენებს ფურგუნში და მერე ორნივე ერთად გასწევენ სამუშაოზე. საღამოს კიდევ ამ გვარათ ორნივენი მიხედავენ ოჯახს, და როდესაც შედიხართ იმათ ოჯახში, გაჰკვირდებით იმათ ოჯახურ რიგიანობაზე. მიუხედევათ იმისა, რომ ქალი მთელი დღე სახლში არ იმყოფება, იმათი ოჯახი სისუფთავის სხვებით მოცულია. და როდესაც კაცი ამნაირ, ქალის და კაცის ერთმანეთთან ხელჩაკიდებულს მუშაობას ხედავს, გულ მოგებული კმაყოფილებით ამბობს: აი ნამდვილი მეუღლეობა ამაში გამოიხატებაო. და მართალიც არის! რომ ვიფიქროთ, ცოლი და ქმარი, ესენი შეადგენენ ცალებს, ერთად შეუღლებულს, და ტყუილადაც არ დაურქმევიათ მათთვის სახელი მეუღლე. ამ ერთად შეუღლებულების ვალია ერთის ღონით და სიძლიერით ეწეოდენ ამ ფოლს, და სრულიად უთაკილოთ ასრულებდენ ერთი მეორის მოვალეობას.

კარგი იქნებოდა თუ ყველა ქალები და კაცები მიიღებდენ აუცილებელ მოვალეობით და დაისახავდნენ მიზნათ ამ ნაირ მეუღლეობას, როგორც ეს მიღებული აქვთ იქა—გერმანიასა და ავსტრო უნგრეთში.

განსაკუთრებით კარგი იქნებოდა, თუ ქართველი ქალები დაეჩვეოდნენ ამნაირ გარჯილობას, რომლებიც ამით დიდ სარგებლობას მოუტანდნენ, მით უმეტეს ეხლანდელ დროში, ეკონომიურათ დაქვეითებულ თავიანთ ოჯახს, სამშობლოს იხსნიან გაჭირვებისაგან. დიდი თავდებია ამნაირი ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობა ქალებისა და კაცებისა მთელი ჩვენი ქვეყნის, რესპუბლიკის ეკონომიურად ფეხზე დაყენებისა და აღორძინებისათვის.

გ. თალაკვაძე.

აჯახლი და დეზერტირი მტერია ხალხის უფლების და დემოკრატიის.

ᲡᲐᲔᲠᲝᲒᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

საქართველოს რესპუბლიკის ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტი მართავს მცირე ვადიანს სტატისტიკურ კურსებს ერობათა, ქალაქთა და სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა სტატისტიკური განყოფილების მუშაკების მოსამზადებლათ.

კურსებზე მიიღებიან უფასოთ ის პირნი, რომელთაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებანი გამოგზავნიან. იქ მყოფ თანამშრომელთა რიცხვიდან და კანდიტატები, რომელნიც ჩარიცხულნი არიან რომელიმე თანამდებობაზე,—აგრეთვე კერძო პირნი, რომელნიც გადიხდიან 50 მან., მთელი კურსისთვის, კურსის ნაყოფიერ შესწავლისთვის სასურველია რაიმე განათლების ცენზი.

კურსი გაიხსნება 15 ნოემბერს და გაგრძელდება 5 კვირა. ლექციებს წაიკითხავენ საღამოობით 5—9 საათზე. ლექტორთა და ხელმძღვანელთა შემადგენლობა შემდეგია: (ანბანით), გ. მ. ბენაშვილი, დოცენტი გ. ნ. გეხტმანი, ს. ვ. გოგილაძე, ა. მ. გონჩაროვი, დ. გ. დივნოგოროდცევი, დოცენტი ს. ს. კონი, მ. ნ. მანდელშტამი, მ. ნ. სმირნოვი, ს. ნ. ტიმოფეევი, მიწათ მოქმედების მინისტრი ნ. გ. ხომერიკი.

საზოგადოებრივი დაწესებულებანი, რომელთაც სურთ გამოგზავნონ მსმენელები კურსებზე, ვალდებულნი არიან ეხლავე ტელეგრამით შეატყობინონ ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტს, თუ რამდენი პირს გზავნიან კურსებზე.

მიღებულია ზომები უფასო ბინის შესახებ გამოგზავნილ პირთათვის.

კერძო პირთა ჩაწერა ხდება ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტის ბინაზე, პეტრე დიდის ქუჩა № 12.

ერობათა კავშირის მთავარი **კომიტეტი.**

ვინც აჯახლსა და დეზერტირს არ ებრძვის, ის არ არის მოქალაქის სახელის ღირსი.

ᲛᲘᲨᲐ ᲨᲐᲕᲨᲕᲚᲘᲫᲔ

ულმობელმა ბედმა ხელიდან გამოგვტაცა მიშა შავგულიძე. ვისაც კი ჰქონია შემთხვევა გეცნო მიშა, მისი სიკვდილის ამბავი მწარეთ დააღონებს. მიშამ გაათავა ქუთაისის მეორე უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, ჩაეწერა მოხალისეთ ჯარში და მსახურებდა ქუთაისის მე-16 სათადარიგო ბათალიონში. შემდეგ გადაიყვანეს ახალციხეში, იქიდან კი გაგზავნილ იქნა გერმანიის ფრონტზე 122 ტამბოვის პოლკში. ავათმყოფობის გამო განთავისუფლებულ იქნა იგი ეკვსი თვი ვადით, და გამოგზავნილ იქნა თფილისში. მართალია იგი განთავისუფლებულ იყო სამხედრო ბეგარისაგან, მაგრამ როდესაც საქართველოს გასაჭირი დაუდგა, მიშამ აისხა თვის ნებით იარაღი და ეკვეთა საქართველოს თავისუფლების მტრებს. ლენინის ოპერაციების დროს მიშა ავათ გახდა ფილტვების ანთებით, რამაც იმსხვერპლა კიდეც. მის ნაცნობ ნათესავთ ეს დანაკლისი არ აკმარა ბედმა, მიშას სიკვდილი ვერ აიტანა მისმა დანიშნულმა გალინა ცინცაძის ასულმა და თავი მოიწამლა.

კოსტა თავბერიძე.

დეზერტირობა აჯახლობას და ავაზაკობას აძლიერებს. დეზერტირები აჯახლთა რეზერვია.

რკინის გზის ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

რკინის გზელთა ყრილობა დამთავრდა, მან ბევრი საჭირბოროტო კითხვები გადაწყვიტა, მათ შორის ადმინისტრაციის საკითხიც. ეს კითხვა ყველაზე მწვავედ იდგა, ამის ირგვლივ დიდი დავა იყო. ერთი ჯგუფი იცავდა ადმინისტრატორების კავშირში დარჩენას, მეორენი კი მის კავშირის გარეშე დატოვებას. მე როგორც უკიდურესი დამცველი ადმინისტრაციის კავშირში დატოვებისა, უნოა გულ ახდილად ვაღიარო, რომ მიუხედავად იმისა, რომ დავმარცხდი, სრულიად დაკმაყოფილებულად ვგრძნობ თავს. და ეს იმიტომ, რომ ერთსაც და მეორესაც ეზარებოდათ ერთ-ურთის დაშორება, როგორც ერთი ოჯახის მთლიანი რკინის გზის დემოკრატიას. ორივენი გრძნობდენ ამ დიდი კითხვის გადაჭრას წარმოების აყვავებით საჭიროებისათვის, რასაც ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური დღევანდელი მდგომარეობა მოითხოვს. სხვა რაღა დაგვრჩენია თუ არ სურვილი, რომ უკეთესად წაიყვანონ მუშათა საქმე ჩვენს მუშა მოსახურეებმა და კავშირის გარეშე დარჩენილთ ამხანაგებს კი მოუწოდებ ამ კითხვის გადაჭრას დამშვიდებით შეხვდენ და ერთ წუთსაც არ დაუშვან რაიმე გამწვავება, შემოკრბენ მუშურ ორგანიზაციის ირგვლივ და ყოველნაირი დახმარება აღმოუჩინონ მათ, როგორც იდეური, აგრეთვე მატერიალური. ნუ დაგავიწყდებთ, რომ ხანა სერთოთ კაცობრიობისა მხოლოდ და მხოლოდ მუშების ორგანიზაციების განვითარება გახმტკიცებაშია. ჩვენ გვაშინებდა არევ-დარევის საზოგადოებრივი დაწესებულებანი გამოგზავნიან. იქ მყოფ თანამშრომელთა რიცხვიდან და კანდიტატები, რომელნიც ჩარიცხულნი არიან რომელიმე თანამდებობაზე,—აგრეთვე კერძო პირნი, რომელნიც გადიხდიან 50 მან., მთელი კურსისთვის, კურსის ნაყოფიერ შესწავლისთვის სასურველია რაიმე განათლების ცენზი.

კურსი გაიხსნება 15 ნოემბერს და გაგრძელდება 5 კვირა. ლექციებს წაიკითხავენ საღამოობით 5—9 საათზე. ლექტორთა და ხელმძღვანელთა შემადგენლობა შემდეგია: (ანბანით), გ. მ. ბენაშვილი, დოცენტი გ. ნ. გეხტმანი, ს. ვ. გოგილაძე, ა. მ. გონჩაროვი, დ. გ. დივნოგოროდცევი, დოცენტი ს. ს. კონი, მ. ნ. მანდელშტამი, მ. ნ. სმირნოვი, ს. ნ. ტიმოფეევი, მიწათ მოქმედების მინისტრი ნ. გ. ხომერიკი.

საზოგადოებრივი დაწესებულებანი, რომელთაც სურთ გამოგზავნონ მსმენელები კურსებზე, ვალდებულნი არიან ეხლავე ტელეგრამით შეატყობინონ ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტს, თუ რამდენი პირს გზავნიან კურსებზე.

მიღებულია ზომები უფასო ბინის შესახებ გამოგზავნილ პირთათვის.

კერძო პირთა ჩაწერა ხდება ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტის ბინაზე, პეტრე დიდის ქუჩა № 12.

ერობათა კავშირის მთავარი **კომიტეტი.**

ვინც აჯახლსა და დეზერტირს არ ებრძვის, ის არ არის მოქალაქის სახელის ღირსი.

ᲛᲘᲨᲐ ᲨᲐᲕᲨᲕᲚᲘᲫᲔ

ულმობელმა ბედმა ხელიდან გამოგვტაცა მიშა შავგულიძე. ვისაც კი ჰქონია შემთხვევა გეცნო მიშა, მისი სიკვდილის ამბავი მწარეთ დააღონებს. მიშამ გაათავა ქუთაისის მეორე უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, ჩაეწერა მოხალისეთ ჯარში და მსახურებდა ქუთაისის მე-16 სათადარიგო ბათალიონში. შემდეგ გადაიყვანეს ახალციხეში, იქიდან კი გაგზავნილ იქნა გერმანიის ფრონტზე 122 ტამბოვის პოლკში. ავათმყოფობის გამო განთავისუფლებულ იქნა იგი ეკვსი თვი ვადით, და გამოგზავნილ იქნა თფილისში. მართალია იგი განთავისუფლებულ იყო სამხედრო ბეგარისაგან, მაგრამ როდესაც საქართველოს გასაჭირი დაუდგა, მიშამ აისხა თვის ნებით იარაღი და ეკვეთა საქართველოს თავისუფლების მტრებს. ლენინის ოპერაციების დროს მიშა ავათ გახდა ფილტვების ანთებით, რამაც იმსხვერპლა კიდ

გამოწვევა ამ კითხვით. ეს კი მოხდება მაშინ, თუ ჩვენ ჩამოვშორდებით მუშათა ორგანიზაციებს. ზოგიერთი ამხანაგები გაუგებრობის ნიადაგზე ძლიერ განაწყენებულნი არიან და ცალკე კავშირის დაარსებაზე ლაპარაკობენ. ჩვენ გვგონია ეს ნაადრევია. ვინ იცის რა იქნება ახლო მომავალში, რას გვიკარნახებს ცხოვრების ასეთი ჩქარ-ჩქარი ცვალებადობა. მოუწოდოთ ამხანაგებს, რომ ცვლილება არ შეიტანონ იმ პროკენტულ გადასახადებშიაც კი, რომლითაც უძლიერეს კავშირს წარმოადგენს მთელს რუსპუბლიკაში ჩვენი რკინის გზის მუშათა პროფესიონალური ორგანიზაცია.

მაშ ასე, ამხანაგებო, ყველამ მუშების ორგანიზაციებისაკენ, დასახმარებლად, რაც კი იქნება საჭირო მისი აყვავებისათვის. **ლ. კუპრაშვილი.**

ულმობელი და შეუბრალებელი ბრძოლა ყაჩაღთა წინააღმდეგ. ხახტიკიოში დეზერტირობახ!

დაკანონებული უკანონოება

„ღმერთმა ერთი ვით აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს“, ამბობს პოეტი და ეს თქმულება სავსებით მართლდება საბაჟო უწყების მოხელეებზე. ცხონებწაწყმედა სწორეთ აქ არის. აბა რა არის მკითხველო, თუ არ ცხონება ის, რომ ერთი მოხელე 20—30 ათას მანეთობით იღებს თითო აღებაზე და თუ არ წაწყდა ის, რომ ამის შემხედვარე მეორე მისი ამხანაგი ნერწყვს ყლაპავს, თითს ილოკავს, რომ შიმშილი გადაივწყოს და თავის ბედ იღბალს სწყევლის. აი სწორედ აქ არის უკანონობა და ისიც დაკანონებული. რაშია საქმე?

საბაჟო უწყებას ეკალება, სხვათა შორის, ყურის გდება, რომ ვინმემ ჩვენი ტერიტორიიდან მთავრობის ნებადაურთველად არ გაიტანოს საზღვარ გარედ რაიმე საქონელი და აგრეთვე არ შემოიტანოს მალულად და არსებული ბაჟის გადაუხდელად; ამ მოთხოვნილების დამრღვევნი, როცა კი იქნებიან დაჭერილნი, ისჯებიან ხოლმე საქონლის კონფისკაციით, პირველსა და მეორე შემთხვევაში და ამის გარდა კიდევ პირველ შემთხვევაში მათ ხდებათ ჯარიმათ საქონლის ორმაგი შეფასება და მეორე შემთხვევაში კი ხუთმაგი ბაჟი. როგორც საქონლის გაყიდვიდგან, აგრეთვე ჯარიმებიდგანაც შემოსული თანხა ნაწილდება შემდგნაირად: 30 პროც. ამა თუ იმ სახით მიდის ხაზინის სასარგებლოდ და დანარჩენი 70 პროც. კი ეძლევა ჯილდოთ დამჭერლებს ასეა ძველი რუსეთის კანონით. წინეთ რუსეთის დროს კონტრაბანდულათ საქონლის გატანა შემოტანა იმდენათ თვალსაჩინო არ იყო, მაგრამ კავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკების ჩამოყალიბებისა და განსაკუთრებით კი ჩვენში ინგლის-ამერიკელთა მოკალათების შემდეგ ამ სპეკულიაციამ თითქმის ზღაპრული ხასიათი მიიღო. კონტრაბანდისტებს გაეჭვთ და შემოაქვთ არა ფუთობით, არამედ ვაგონობით და ხანდახან რამდენიმე ვაგონობითაც კი.

საბაჟო უწყების მოხელეები განიყოფებიან ორ ჯგუფათ: შინა-კანცელარიაში—და გარე-საბოჭოს საწყობებში და რკინის გზის სადგურებზე—მოსამსახურეებათ. ამ უკანასკნელთა მოვალეობას შეადგენს საქონლის და მგზავრთა ბარგის მიღებ დახედვა, დაბეჭვა, გაშვება და ამასთანავე ყურის გდება, რომ ვინმემ კონტრაბანდულათ არ გაიტანოს და ან არ შემოიტანოს რაიმე საქონელი. შრომა საზოგადოთ საბაჟოში დიდი და ნერვებ ამშლელია, მაგრამ ამ ორი კატეგორიის მოხელეების შრომა ერთმანეთისაგან არაფრით არ განსხვავდება. პირველები უმეორებოთ ვერაფერს გააკეთებენ და მეორენი უპირველებოთ

გარე მოსამსახურენი არიან სწორეთ ის მოხელენი, რომლებიც იჭერენ ხოლმე კონტრაბანდულ საქონელს, ვინაიდან მათ ევალებათ ეს მათი სამსახურის ხასიათისა გამო, მაგრამ საქონლის დაჭერის შემდეგ მთელი საქმის წარმოება და გაძღოლა შეადგენს შინა მოსამსახურეების მოვალეობას და ამ გვარათ ერთის დაწყებულ საქმეს ამთავრებს მეორე. ამნაირათ ნაწილდება შრომა მათ შორის, მაგრამ ასე არ ნაწილდება მათ შორის სასყიდელიც. შინა მოსამსახურენი იღებენ, როგორც საზოგადოთ ყველა სხვა დაწესებულებების მოხელენი, მხოლოდ ჯამაგირს. გარე მოსამსახურეები კი ჯამაგირსაც იღებენ და კონტრაბანდის დაჭერისათვის კონტრაბანდულ საქონლის გაყიდვიდან და ჯარიმიდან შემოსულ ფულის 70 პროკენტსაც. ამ უკანასკნელიდან შიგნით მოსამსახურეებს, მიუხედავათ იმისა, რომ მთელი მუშაობა დაჭერილ საქონლის შესახებ მათ აწევთ კისერზე, არაფერი არ ეკუთვნათ. ამნაირად ერთი მოხელე, რომელიც დილიდგან თითქმის საღამომდე გამუდმებით თავჩაღუნული მუშაობს, იღებს თვეში მაქსიმუმს 1400 შანეთს, და ერთი სიტყვით განიცდის ქრონიკულ შიმშილს და მეორე მისი თანამოსამსახურე კი, რომლის მუშაობა პირველისაგან არაფრით განსხვავდება, ჯამაგირსაც იღებს და ამასთანავე რამდენიმე ათი ათასებსაც თვეში კონტრაბანდის დაჭერისათვის ჯილდოს სახით. ბევრია ზოხელე, რომელმაც რამოდენიმეჯერ აიღო ხოლმე 10, 15, 20 და 25 ათას მანეთები და ეს მაშინ, როცა მეორე მისი თანამოძმე, როგორც ზევითაც ვსთქვი, შიმშილს განიცდის. ეხლა თვით მკითხველმა განსაჯოს, თუ რა მუშაობის ხალისი ექნება მოხელეს, როცა ამნაირ უსამართლობას ხედავს და ისიც თავის თანამოსამსახურეებისაგან, რომლებიც უკანონოთ ითვისებენ ხოლმე მის შრომას და თითქმის შრომა გაუწევლად ათასებს იღებენ ხოლმე და თვითონ კი უნდა ითვალოს, თუ როდის მოაწევს თვის „ოკი“ რიცხვი, რომ რა მოდენიმე დღით მაინც უზრუნველყოს თავისი ოჯახი.

ასეთ უსამართლობას ამართლებენ ძველი რუსეთის კანონებით და იმას კი არ ღებულობენ მხედველობაში, რომ ხალხმა იმიტომ გადიტანა ამდენი ტანჯვა-წვალება დ მოახდინა რევოლიუცია, რომ ასეთი უსამართლობანი მოსპობილიყო. ასეთ უსამართლობას საბაჟო მოხელეთა საერთო კრებამ წასულ ზამთარში გაუწია ანგარიში და დაადგინა, რომ კონტრაბანდის დამჭერთ მისცემოდათ ბევრი ჯილდოდან მხოლოდ 50 პროც., ხოლო მეორე 50 პროც კი ყველა დანარჩენ მოსამსახურეთ. თავდაპირველად ამას გარე მოსამსახურენიც დაეთანხმნენ, მაგრამ შემდეგ, როცა საქმე ფულის გაყოფაზე მიდგა, უარი სთქვეს თავის წილის დათმობაზე და რადგანაც მათ კანონიც ზურგს უმაგრებდა ამ შემთხვევაში, ამიტომაც ვერ ეღირსა ხსენებულ დადგენილებას განხორციელება.

ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სანამ არ მოისპობა ეს უსამართლობა და საბაჟოს ყველა მოხელეები არ იქნებიან ერთმანეთთან ყოველი მხრივ გათანასწორებულნი, მანამ მითქმა-მოთქმას, შურიანობას და უკმაყოფილებას მოხელეთა შორის, ბოლო არ მოეღება, რაც ადრე თუ გვიან აუცილებლივ იზოქმედებს საბაჟოს საქმის მსვლელობაზედაც.

ამბობენ, თუ კონტრაბანდის დამჭერლებს ჯილდო არ მივეცით, კონტრაბანდას არ დაიჭერენ და გაუშვებენო. ეს გასამართლებელი საბუთი არ არის, ვინაიდგან ასეთი მოხელე-სახელმწიფოს მოხელე და მოსამსახურე კი არ იქნება, არამედ მოღალატე და მას სახელმწიფო დაწესებულებაში არ უნდა ექნეს ადგილი. **საბაჟოელი.**

მკითხველო, სინდისის ქვეშ სთქვი, იცი თუ არა რომელიმე ავაზაკის ან დეზერტირის სახლი და ბინა. სირცხვილი შენ, თუ ამდენხანს არ მიგიცია ის სამართლის ხელში. ეხლა მაინც დაუყონებლივ ამხილე.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 5 ნოემბერს შესდგა ს. ს. დ. მ. პარტიის პირველ რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება ამხ. გ. ბახტაძეს თავმჯდომარეობით. პირველათ თფილისის და ცენტრის კომიტეტების სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ბახტაძე, რომელიც თავის მოხსენებაში სხვათა შორის აღნიშნავს, თუ რა მკაცრი ბრძოლა სწარმოებს ჩვენი ზოგიერთ საერობო დაწესებულებებში ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. მოწინააღმდეგენი არავითარ საზიზღარ საშუალებებს არ ერიდებიან, რათა ჩვენი პარტია დაამცირონ ხალხის თვალში. რომ ასეთი „ოპოზიციით“ საქმე ფერხდება და მშრომელი ხალხის ინტერესები ილახება მოწინააღმდეგეებს აბა რა ენაღვლებათ ამთავრებს სიტყვას მომხსენებელი. კრებამ მოხსენება მიიღო ცნობათ.

ქვე კოლექტივების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ადგილობრივ პარტიული მუშაობა მიმდინარეობს ჩვეულებრივ. შემდეგ კრება იხილავს ქალთა წრის წერილობით განცხადებას, რომელშიაც ქალთა წრე მოითხოვს, რომ კოლექტივი დაეხმაროს მას ნივთიერათ და ზნეობრივათ ნაძალადევში სასადილოს გახსნაში. კრება უარყოფით უყურებს ქალთა წრის მიერ სასადილოს გახსნას. ყოველ მხრივ გასაშუქებლათ კრებამ საკითხი გადადო შემდეგი კრებისთვის. ალექსანდრე მიქაძეს საქმის დამთავრება მიენდო ძველ საგამომძიებლო კომისიას. გამოძიების დამთავრებამდე კრებამ გადსწყვიტა—ეცნობოს დეპოს ქვეკოლექტივს, რომ ალექსანდრე მიქაძე დროებით გადაყენებულია პარტიიდან. მელიტონ არველაძეს საქმის დამთავრება კი, რომლის პარტიიდან გარიცხვას მოითხოვს სადგურის ქვეკოლექტივი, გადაეცა პრეზიდიუმს—მორიგ კოლექტივის კრებაზე თავის დასკვნის წარმოსადგენათ. ბოლოს კრებამ გადასწყვიტა მოწყეულ იქნეს ნაძალადევის თეატრში საზოგადო პარტიული კრება—კრების დღე გამოცხადდეს გაზ. „ერთობაში“.

მდივანი.

სად. გურჯაანი. 28 ოქტომბერს, 1919 წ., სად. გურჯაანში მოხდა სად. გურჯაანის მუშა მოსამსახურეების ს. ს. დ. მ. პ. კრება. კრებას დაესწრო 40 წევრი, თავმჯდომარეობდა ა. ელენტი. დღის წესრიგი: მოხსენება მეხუთე რაიონის კოლექტივიდან და სხვა წვრილმანი კითხვები. მეხუთეთე რაიონი მდივანმა ლ. აბობაძემ კრებას გაუკეთა მოხსენება თუ რა და რა კითხვები გაირჩა. კოლექტივში და კომიტეტში ამ მოკლე ხანში, რაშიც კრება დარჩა სრული კმაყოფილი; კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: მოისმინა რა მოხსენება, კრება იზიარებს სავსებით კომიტეტის და კოლექტივის დადგენილებებს ყველა კითხვებზე და მიზნათ ისახავს მათ ცხოვრებაში გატარებას.

მდივანი ლ. აბაშიძე.

დეზერტირი მოღალატეა, დეზერტირის და ყაჩაღის შემნახველი იუდის თანაზიარია.

მუშათა შორის

თფილისი. ქალაქის თვითმართველობის სასაკლაოს მუშა მოსამსახურეები განიცდიან დიდ გაჭირვებას. მუშა-მოსამსახურეები მთლათ ტიტველნი არიან, რაც რამე ჰქონდათ სახლებში ზაფხულში გაყიდეს, როცა ჯამაგირებს თავის დროზე ვერ ღებულობდენ. ეხლა, როცა კარს მოადგათ ზამთარი, აუტანელია მათთვის შიშველ-ტიტველად ყოფნა. ქალაქის თვითმართველობა ვალდებულია ყოველ წელს თითო წყვილი ფეხსაცმელები მისცეს მათ, მაგრამ სადაა. მუშებმა დიდი მოთმინების შემდეგ წარუდგინეს ადგილობრივ ადმინისტრაციას მოთხოვნილება, რომ მოკლე ხანში იყვენ დაკმაყოფილებული. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ რასაკვირველია მუშების მდგომარეობაში შეიტანა, გაიგო მუშების აუტანელი მდგომარეობა და მუშების წარმომადგენლებს უპასუხა, რომ მთელი რიგი მასალები გვაქვს ფეხსაცმელისათვის, მაგრამ არ გვყავს შემკერავიო. რასაკვირველია მუშებმა ეს სიტყვა მიიღეს დასაკმაყოფილებლათ და აღუთქვეს, ჩვენ მოვძებნითო, ადმინისტრატორმაც დიდი სიამოვნებით მიიღო დახმარების აღმოჩენა. მუშები იმ დღესვე დაფაცურდენ ფეხსაცმელების შემკერავის მოსანახათ, რომელიც იქნა მეორე დღესვე მოყვანილი სასაკლაოს ადმინისტრაციასთან. შეხედა ადმინისტრატორმა, რომ ახლა არააქვს გამოსავალი გზა, დაუწყო მორიგება და შეაძლია შემკერავს მეტად მცირე ფასიმე იმედი მაქვს ქალაქის გამგეობის წევრები მიიქცევენ ყურადღებას სასაკლაოს მუშებს და ამოიყვანენ მათ ამ აუტანელ მდგომა ეობიდან.

პ. ბოკერია.

ზიზღი ლაჩარს დეზერტირს, ხალხის რისხვა და კრულვა მუხანათ ყაჩაღს!

პროვინცია

ატენი (ქართლი). 27 ოქტომბერს ატენის ერობის გამგეობამ მოიწვია სარევიზო კომისიის წევრები: კოტე ხუბულური, ითა ქოზაევი და ვასო შერმადინი, რომლებმაც გადასინჯეს ყველა საქმეები წარმოებული გამგეობის მიერ, რომლის შემდეგაც აღმოჩნდა: შემოსავალი ატენის ერობაში პირველ ღვინობისთვემდე 1919 წ. ათასნაირ წყაროებიდან, რომლის საბუთები იყო წაყენებული, სომი ათას ორმოცდა სამი თუმანი და ერთი მან. (30431 მ.) გასავალი იყო, რომლის საბუთები იყო წარმოყენებული და ჩაწერილი წიგნში, ორი ათას შვიდას ორმოცდა ხუთი თუმანი და ორი მან და ათი შაური (27852 მ. 50 კ.) პირველ ოქტომბრამდე ფული ნაღდი კასაში იყო დარჩენილი ათას ხუთას შვიდი თუმანი, რვამანეთი და ათი შაური (1578 მ. 50 კაპ.) რამდენიმე ანგარიში წარმოყენებული ხელმოწერილი ყოფილი მდივანის კარიჭაშვილისაგან არ იქნეს კანონიერათ, რომლის გამორკვევაც მიანდეს გამგეობის წევრს გ. ჩოჩიეს. წარმოებული ქალალდები შემოსავალ გასავლისა, აგრეთვე წიგნები იყო რიგზე. ამასთანავე ერთად მათ გამოუცხადეს გამგეობას ნდობა და მადლობა.

პრეზიდიუმი.

ზესტაფონი. შორაპნის მაზრაში წელს მოსავალი საგრძნობლათ ნაკლებია. ამ მხრით მაზრა ეხლავე შეიძლება ჩაითვალოს დამშეულთა რიგში. სამაგიეროთ მაზრაში კარგი მოსავალი იყო ლობიოს და ძაძასი (სოიას), მაგრამ საუბედუროთ ჩარჩ-სპეკულიანტებმა უკვე მიმართეს თავიანთ ხელობას: დადიან სოფლებში, იკვეთენ ლობიოს და სოიას და გააქვთ ეს უმთავრესი იმედი მაზრისა. საჭიროა სამაზრო ერობამ, როგორც უმაღლესმა ორგანომ, მაზრის მომხმარებელ საზოგადოებათა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების დახმარებით, მიაქციოს ამ გარემოებას ჯერეთვანი ყურადღება რომ კერძო პირებს არ ჩაუვარდეს ეს სიმდიდრე ხელში, თვით უხელმძღვანელონ ყიდვა გაყიდვას და გადაუცვალონ პურზე იმ მაზრებს ან მახლობელ სახელმწიფოებს, რომლებიც ძლიერ საჭიროებენ ლობიოსა და სოიას. საჭიროა ეხლავე შეძენა სათესლე ხორბლისა ხალხზე გადასაცემათ და ხელმძღვანელობა მინდვრების დათესვაში, რომ ზაფხულში მაინც (ოქტათი შეიმჩნეს ბუნქონ მდგომარეობა ახ. ლი მოსავლით. დიდი ენერგია მ რთებს, როგორც ადგილობრივ დემოკრატიულ ორგანოებს ისე ცენტრალურ გამგეობას, რომ ააცდინოს მაზრას შიმშილის ნიადაგზე გამოწვეული უბედურება სხვადასხვა სახით ერთად ერთი მუდმივი სიმდიდრე მაზრისა—ღვინო—წელს სამისამდოთ არავის მოსვლია. იმედი ხსნისა მხოლოდ დროზე ზომების მიღებაში და დახმარებაშია. **მართაშვილი.**

ხ. ხელთუბანი (გორის მაზ.) სოფ. ხელთუბანში წელს მოსავალი ნაკლები მოვიდა. ვენახები ხომ სულერთიანად გაფუჭდა, სწავლა-განათლებით ხელთუბანი თავის რაიონში წინა სდგას. აქ არსებობს ერთკლასიანი სასწავლებელი. ხალხი არა სცდილობს საერთო განვითარების გზას დაადგეს. ქურდბაცაცობა და ერთმანეთის მტრობა ვერ დაუვიწყიათ. იყვნენ მსურველები დაარსებულიყო სოციალდემოკრატიული ორგანიზაცია. კრება ორჯერ იყო დანიშნული და ორჯელვე ისე ნაკლებათ და ესწრო მოწვეული ხალხი, რომ კრების გახსნა შეუძლებელი იყო. სათითოდ კი ვისაც ეტყვ, ყველს დიდი აღფრთოვანებით უნდა ამ ორგანიზაციის დაარსება. მაინც იმედია ხსენებული ორგანიზაცია დაარსდება ახლო მომავალში. გზაზე ხელთუბანი—გორი—სოფ. ბერბუკის ბოლოზე ერთ პატარა მდინარეა ადიდების დროს ხიდი წაიღო წყალმა. აგერ სამი თვეც იქნება მას შემდეგ და აქ ხიდი აღარ გაკეთდა. ამ ხიდის გაკეთება არ გამოიწვევს არავითარ ხარჯს, მით უმეტეს, რომ ერთი ხე ძველი ხიდისა ისევ წყალში გდია და რატომ თავის დროზე არ უნდა გაკეთებულიყო. საჭიროა შემდეგისთვის მაინც ამისთანა რამეებს შესაფერისი ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

ხ. ქავთარაძე.

ბაბუკიანის თემი (ლაგოდეხის რაიონი). 26 ოქტომბერს შესდგა ბაბუკიანის თემის ხმოსანთა ყრილობა თემის მდგომარეობის და საჭიროების შესახებ მოხსენებას აკეთებს თემის ყრილობის თავმჯდომარე. იყო გარჩეული სხვადასხვა საკითხები, მაგრამ მეტი ყურადღების ღირსი იყო საკითხი რკინის გზის გამოყვანის შესახებ. უკანასკნელი შესახებ ყრილობამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „რადგანაც ბაბუკიანის თემი აუტანელ კარჩაკეტილობას და დაბრკოლებას განიცდის, როგორც ეკონომიურად, აგრეთვე პოლიტიკურად და კულტურულად, მიმოსვლის უვარგისობის გამო, ეთხოვოს მთავრობას გამოყვანილ იქმნას ჩვენის თემის ფარგლებში რკინის გზის შტო, რომელიც დიდს სარგებლობას მოუტანს, როგორც ხალხს, აგრეთვე მთავრობასაც. მოლაპარაკებისათვის და საკითხის აღძვრისათვის იქმნა არჩეული თფილისში გასაგზავნად დელეგაცია შემდეგი პირებისაგან: ანეკტოზ ლოლაძე, ვლ. ბუმბურიძე, ვლ. ოყროშიძე, ა. ცხოვრებაშვილი, ვანო ლობჟანიძე, ვ. ფილიშვილი, დ. თედეშვილი და ბოკერია. ყრილობას უსმენდა დიდი ძალი გარეშე ხალხი, რომელიც თემის ნაბიჯს დიდის აღტაცებით შეხვდა. **მოლაღური.**

ხუნევის საზოგადოება (შორაპ. მაზრა) როდესაც შორაპნის სამაზრო ერობამ აცნობა ხუნევ ამაშუკეთის საზოგ., რომ იქ ერობა აპირობს გახსნას საავადმყოფოს და ამისათვის მოსთხოვა შესაფერი სახლი და ადგილი, იმ დღიდან სწორედ შეიქნა დავა ამ ორ საზოგადოების შორის იმის შესახებ თუ რა ადგილზე გახსნილიყო ეს უკანასკნელი. ამაშუკეთის საზოგადოებას, რამდენიმე სოფლის გამოკლებით, სურდა და სურს, რომ საავადმყოფო გახსნილიყო ს. ბორითში, სადაც უკვე არსებობდა ფერშლის პუნქტი, მაგრამ ამ მოსაზრებას გადაეღობა წინ ხუნევის საზოგადოების და ნაწილი ამაშუკეთის საზოგადოების მცხოვრებლებისა და მოითხოვდენ, რომ ს. ბორითის მაგიერ საავადმყოფო გახსნილიყო სოფ. საქასრიაში, რომელიც სოფ. ბორითზე ჰავითაც, წყლითაც და მდებარეობითაც ძალიან განირჩევა. მაგრამ მიუხედავათ ამ მოთხოვნილებისა და აგრეთვე პირველი კომისიის დადასტურებისა, რომ საავადმყოფო გახსნილიყო სოფ. საქასრიაში (ამ კომისიაში შედიოდენ ეროსის მხრით ბ. ბ. პ. ბუაჩიძე და მაზრის ექიმი ბ-ნი მუჯირი), საავადმყოფო ერობის განკარგულებით გაიხსნა სოფ. ბორითში, ამაშუკეთის საზ. ორკლასიან სასწავლებლის შენობაში. რაშია საქმე? რატომ მოითხოვს ხუნევის საზოგადოება და ნაწილი ამაშუკეთისაც საავადმყოფოს სოფ. საქასრიაში გახსნას ს. ბორითის მაგიერ? აი რატომ, „ბორითში გახსნილი საავადმყოფო იქნება მარტო ამაშუკლების და მათი მახლობლების საპირფარეშო, როგორც იყო ფერშლის პუნქტი და იმ საავადმყოფოში სხვა ნაკლებათ თუ ისარგებლებს 2) ბორითი, სადაც ეხლა არის მოთავსებული საავადმყოფო, არის განცალკევებული, მცხოვრებლები ახლოს არ მოიპოვება ადგილი ჭაობიანია და არც სასმელი წყალი აქვს, მე 3) ამაშუკეთის საზოგადოების განაპირა სოფელი, რომელიც არ უნდა იყოს ეს, არის დაშორებული სოფ. ბორითზე 5 ან 6 ვერსით ხოლო ხუნევის საზოგადოების განაპირა სოფლები კი 18—19 ვერსით. ამნაირათ, ხუნევის გლეხმა უნდა გაიაროს ზედმეტი ამაშუკეთის გლეხზე, რომ თავის ავადმყოფი მოათავსოს როგორმე საავადმყოფოში არა ნაკლები 12—13 ვერსი.

სოფელი საქასრია კი ჯერ ერთი ადგილის მდებარეობით, მერე წყლით მესამე სოფელიც ახლოს არის გაშენებული სჯობს სოფ. ბორითს, ჰავაც უკეთესია ორჯერ. ეს სოფელი არის ამაშუკეთის განაპირა სოფლებზე დაშორებული არა უმეტეს 9—10 ვერსისა, ხოლო ხუნევისაზე კი 15—16 ვერსზე. ამ მხრით საქასრი სჯობს ბორითს

იმედია შორაპნის მაზრის ერობის გამგეობა ამ საქმეს გამოასწორებს და საკითხს განიხილავს ხელმეორეთ და არ დასტოვებს უყურადღებოთ ხუნევის საზოგადოების სამართლიან მოთხოვნილებას. **ავაზანის პირელი.**

დ. თიანეთი. ოქტომბერში მეორეთ შეიკრიბა პირველი საქმიანი ყრილობა ერობის ხმოსანთა.

ჩვენ მოვისმინეთ გამგეობისაგან თუ რა გააკეთა 2 აგვისტოდან ვიდრე 7 ოქტომბრამდე გამგეობამ, დიდ გაკვირვებას იწვევდა დამსწრეთა გულში ის თუ რაფერ მოასწრო გამგეობამ ამ ორი თვის განმავლობაში ყველა იმის გაკეთება, რაც მოისმინა ხალხმა. იკითხავს ბევრი, რა იყო გასაკვირიო. თიანეთის მაზრა დიდათ ჩამორჩენილია უგზოობის გამო, როგორც კულტურულად აგრეთვე ეკონომიურად და მართლაც პირველი ადგილი უჭირავს ამ მხრივ მთელს ჩვენს რესპუბლიკაში. ან რა ფორმის კულტურას ან ეკონომიურ წარმატებას უნდა ჰქონოდა ადგილი ამ ბუნებითა და სხკა მრავალ სიმდიდრით სავსე კუთხეს იმ დროს, როდესაც მთელი მაზრა მოწყვეტილია უგზოობის გამო ჩვენს დედა ქალაქს თფილისს. თვით ხევსურეთი დაშორებულია ცენტრს 235 ვერსით. ყველა ეს სიბნელე და უგზო-უკვლობა მაზრისა გადაულახავს გამგეობას და დაუწყია მოქმედება, რაც გამოიხატება შემდეგში: თფილისიდან, მიუხედავათ საშინელი გზებისა, მოუტანია რამოდენიმე ასეული ფუთი პირველ საჭიროების საქონელი, გაუხსნიათ სასურსათო მაღაზია, საიდანაც აწვდიან მომხმარებელთ ყოველივეს დაკლებულ ფასებში ვინემ ადგილობრივი ჩარჩები, რაც ხალხში დიდ სიმპატიას იწვევს. ჩაიბარეს მთელი ადმინისტრაციები, სკოლები, მთელი მაზ. ყველა გზების პიროლები, ტელეფონების ქსელის პროექტი, და ახლო მომავალში თიანეთიც დაელაპარაკება დედა ქალაქს თფილისს პირდაპირ და სხვადასხვა. ამასთან ერთად მთელი ხარჯთ აღრიცხვის სწორი შესწავლა და მისი სასურველად შედგენა, რაც ხმოსანთა ყრილობამ მოიწონა და დაამტკიცა კიდევ. ყრილობამ ერთი ფრიად დიდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადასდგა კიდევ. მან ამოირჩია მომრიგებელი მოსამართლენი ორი, ი. ბოძაშვილი და საყვარელიძე. საჭირო იყო მაზრისათვის მესამეც ფშავ ხევსურეთის რაიონისათვის, მაგრამ რადგანაც ფშაველ ხევსურეთის მდგომარეობა საშინელ ცუდ პირობებში იმყოფება, ბინების უქონლობის გამო, ამიტომ მესამე მომრიგებელ მოსამართლის არჩევა გადაიდო მე 3 მე ყრილობამდე; რისთვისაც ყრილობამ დაავალა გამგეობას, რომ ყოველივე ღონე იქნას მიღებული რათა დამზადდეს შენობები და სხვა საჭიროებანი, რომ შემდეგ ფშავ ხევსურეთსაც გაუჩნდეს პატრონი ერობის სახით.

დასასრულ მოკლე სიტყვით მიმართა ყრილობას ვლად. პაპავამ. ყრილობის თავმჯდომარემ ამხ. გ. ციხკარიშვილმა მიმართა გამგეობას მადლობის სიტყვით. სადაც აღნიშნა, რომ გამგეობამ გააკეთა არა ორი თვის საქმე, არამედ ეს უდრის მთელი წლის ნამოქმედარს და უსურვა კვლავისათვის ასევე ენერგიული მუშაობა. **კ. ბრეგვაძე.**

ᲬᲜᲝᲒᲔᲑᲘ

ჯარისკაცი გიორგი გოგის ძე ტვილიდიანი მსახურებდა სად. სამტრედიის საკანტროლო როტაში პირველ „ბოვოდში“, და იქიდან გაწვეული იქნა სომხეთთან ომიანობის დროს სომხეთის ფრონტზე, სადაც შემოგეგზავნა ოფიციალური ცნობა, - და თუ ვინმე რამ იცი, მოგვმართეთ ან ... ...